

136
1923/2

შასი 1,000,000 მანეთი.

გეორგიანული
ბიზნესი




№ 12.

კვირა, 4 ნოემბერი, 1923 წ.

№ 12.

542.



ო. შლინგი.

მოდის წითელი
მეშვიდე წელი!
ჩვენ გაგვიძაგრა
ყოველ მხრივ წელი
ექვსმა განვლილმა,

ევროპა კი, ძველი,
მოიცვა ჩრდილმა,
სადაც სიკვდილმა
აღმართა ცელი
და სახრჩობელა!

ზედ ნაცნობია ყველა
სახეები
და სახელები:
პუანკარე, მუსოლინი და კერზონი.
დადგა ამათვის შესაფერი სეზონი.

„ეკვივალენტი“

დათია კურკანტელაძე თუმცა ღარიბ გლეხთა ითვლება, მაგრამ შრომით და ყაირათიანობით სოფელში არც ერთ თავის ამხანაგს არ ჩამოუვარდება.

ჯერ კიდევ მენშევიკების დროს მოხერხებულმა დათიამ ერთი ქცევა კარგი საყანე მიწა ჩაიგდო ხელში და შეუდგა მის საქმეში გამოყენებას. მართალია, მიწა დათიას სახლზე მოშორებით იყო, არც ხარი, არც სხვა რამ ინვენტარი დათიას არ გააჩნდა, მაგრამ კარგი მეზობლების დახმარებით და უმთავრესად კი-საკუთარი გარჯილობით დათია მაინც ახერხებდა ამ მიწის დამუშავებას.

მონაგარ ჭირნახულს დათია ჰყიდდა და აქიდგან აღებულ ფულით იკმაყოფილებდა ოჯახის სხვა და სხვა მოთხოვნილებას. თავის სარჩო ჭირნახულს კი დათია ეზოობაი იმუშავებდა.

მენშევიკების ბატონობა დათიას იმიტომ არ მოსწონდა, რომ იმ ერთი ქცევა მიწის საფასურს მას დაეინებოთ სთხოვდნენ. ამიტომ ის სულთ და გულთ კომუნისტების მხარეზე იყო და საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებას ჩვენში, რითაც კი შეეძლო ხელს უწყობდა.

აი, კიდევ დაჰკრა ბედნიერმა საათმა და ჩვენში საბჭოთა ხელისუფლება დამკვიდრდა. გლეხები ყველა და, მათ შორის დათიაც, საბჭოთა ხელისუფლებისაგან მოელოდნენ ყველაფერს, რაც კი საერთოდ მათ აკლდა. ბევრი რამე მართლაც „მოვიდა“, მაგრამ სუყველაფერზე კი ის დღესაც უკაცრავადაა.

„რას იზამ, ძამიავ, ყველაფერი ერთ დღეს ღმერთსაც კი არ გაუჩენია“-ო, ეტყოდა ხოლმე დათია საბჭოთა წესწყობილებით ჯერ კიდევ უკმაყოფილო მეზობლებს.

მიუხედავად ამისა, თავის გულში დათიაც არ იყო საგსებით კმაყოფილი. მეზობლების საყვედურებზე სირცხვილის ოფლი კბილებში გამოსდიოდა. მაგრამ თავს იკავებდა. განსაკუთრებით გლეხობა საჭიროებდა სხვა და სხვა ფაბრიკატებს, უფრო კი მანუფაქტურას.

დათია გაზეთებს ძლიერ ეტანებოდა და გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ყოველგვარს ჩი-ნს წარჩინებას აღმშენებლობის¹ ყოველი არხის გაყვანას, ფაბრიკა-ქარხნის აგებას² აწყავდა და მეზობ-ტაცების ფრთებს ას-

თია ჩარჩ-ვაჭრების
ჩატივების აღდგე-
ესი პიონერი ის
ია მას სოფლის
სკირე ფასების
აგანზე გაზე-
წააწყდებო-
გაზეთით
გულისხმო

ერთხანს ეს წერილები თითქმის ერთისა და იმავე შინაარსისა იყვნენ და მათში იყო მხოლოდ მოთქმა-გოდება იმის შესახებ, რომ სოფლის ნაწარმოები ჩალის ფასად ფასობს, ქალაქის ფაბრიკატებთან შედარებით, რაც ეწინააღმდეგება და ხელს უშლის სოფლისა და ქალაქს შორის ეგრედ წოდებულ „სმიჩკას“-ო. მართალია, „სმიჩკა“ უცნობი სიტყვა იყო, მაგრამ დათია ინტუიტიურად ცნობილობდა, რომ ეგ სიტყვა კავშირს უნდა ნიშნავდეს.

მაგრამ აი, ერთ მშვენიერ დღეს დათიამ მიიღო ახალი გაზეთი, რომელშიაც ისევ ნაცნობ, თემაზე ჩაწიკვიკებულ წერილს წააწყდა.

ერთი შეხედვით, დათიას არ იამა ამ წერილის აქ არსებობა, მაგრამ კითხვას მაინც გულდასმით შეუდგა.

თუმცა კითხვა ნაცნობი იყო, მაგრამ ამ წერილში დათიამ შეამჩნია დიდი განსხვავება. მაგალითად, თუ წინა წერილები მხოლოდ აღნიშნავდნენ ზევით მოყვანილ სამუშაოთა ფაქტს და აწარმოებდნენ, ასე ვთქვათ, „პასიურ წინააღმდეგობას“ ამ აშკარა ბოროტების წინააღმდეგ, ამ წერილში უკვე უარყოფილი იყო ყოველგვარი „პასიური წინააღმდეგობა“ და ავტორი უკვე აქტიურ საქმიანობაზე გადასვლისაკენ უთითებდა.

ეს მოვლენა დათიას გულს უტოკებდა და სახეზე ბრწყინვალე კმაყოფილების შუქს ფენდა. მაგრამ აი, ერთ ადგილას დათია დაბეჯითებით დააქცერდა. იგი თვალს არ უჯეროდა...

„ეკვივალენტი“! დიახ, „ეკვივალენტი“! სწორედ ასე იყო დაწერილი შავით თეთრზე. მაგრამ დათიასათვის შავი ფერი აღარ არსებობდა. მისთვის ამ სიტყვამ უცბათ წითელი ფერი მიიღო. გაზეთი არა სახუმაროთ, არამედ დაბეჯითებით მოითხოვს, რათა სახელმწიფომ და კოოპერაციამ მისცეს გლეხობას „ეკვივალენტი“!..

და ეს „ეკვივალენტი“ დათიას თვალში უკვე გაიზარდა, გაივსო და იქცა ვეებერთელა დატვირთულ მატარებლათ, რომელიც მძიმე ქშენით მორდის და მოეზიდება სოფლისაკენ ნარმას, ჩითს, მიტკალს, ტილოს, ბამბულოს და სხ.

დათია ოცნებამ გაიტაცა.

ის იჯდა სამუშაო სკამზე, გაზეთით ხელში, და ჰფიქრობდა. ტკბილი ღიმილი მართის დღეში გამოქიატებული მზის შუქივით დასთამაშებდა დათიას გაბურძენილი წვერ ულვაშით შემოსილ სახეს...

„ეკვივალენტი“, „ეკვივალენტი“, „ეკვივალენტი“... ეგ სიტყვა აეკვიტა დათიას გულს, აზრს, ოცნებას, მთელ მის არსებას და მოსვენებას აღარ აძლევდა. ის სულ ენის წვერისაკენ მოიწევდა, როგორც ელექტრო ძალა-ტელეგრაფის მავთულში...

საღამო ხანს იდგა დათია მეზობელ გლეხებ შორის კოოპერატიულ ღუქნის წინ და ფილოსოფოსურის სიღინჯით და სიმძიმით უმტკიცებდა მაყურებლებს, თუ როგორ მიიღებენ მთავრობისაგან გლეხები თავი-

ანთ ნაწარმოებებში მათს დიდხინის სანუკვარს „ეკვივალენტს“. „და ეს მოხდება სულ ახლო მომავალში“, ავტორიტეტულად დასძენდა დათია, თუმცა არც თითონ და, მით უმეტეს, არც მისმა მსმენელებმა არ იცოდნენ, თუ რა უნდა ყოფილიყო ეს „ეკვივალენტი“, ან საიდან იცოდა დათიამ, რომ მას ისინი შეეკვლა და მიიღებდნენ.

ძნელი სათქმელია, იცოდნენ, თუ არა დათიამ და მისმა ამხანაგებმა, რომ სწორედ იამ „ეკვივალენტის“ შესაქმნელად, რომელიც ასე იოლად, ერთი ბეწო და ისიც უცნობი სიტყვით იყო გაზეთში მოხსენიებული, მილიონიანი მკლავებ-დაძაგრულ მუშათა არმია კიდევ უფრო მძიმე პირობებში, ვიდრე ეს გლეხები, ყოველ ცისმარა დღე ეწევიან შრომის ძნელს ჰაბანს და ასე ნელი, მაგრამ შექვო თანდათანობით უზადებენ დათიასა და მის მეზობლებს ნამდვილსა და დიდხინით სანუკვარს სიხარულს, დღევანდელი მათი ღუხპირი მდგომარეობის საკეთილოდ შემცვლელს, უტყუარსა და შექვო ეკვივალენტს.

ონისიმე.

კვითა ლაღლი.

Акционерное общество „Закутыльсырье“
(ერთერთი დაწესებულების აბრიდგან)

როგორც რაბკრინის
ჩუმი აგენტი,
ერთხელ ნიანგი—
იდუმალ—კენტი—
ქალაქის ქუჩებს
ღამით ედინა...

ქალაქს ეძინა...
ელექტრო-შუქი
ეფინა თუმცა,
მაგრამ მას მუქი
ქუჩებში ბული
მტვერის ეჩინა...

სდუმდა ყოველი
ჯუჯის ცხოველი.
და მხოლოდ „ქვეები“
დიდრონ სახლების
პირთა აღაღებდნენ
და ღაღადებდნენ...

და შინაური,
თუ გარეული
ისმოდა ხმები,
ბუნ არეული,
და „ქვებსაც“ დაღებს,
წარუშლელს, სდებდნენ!..

ერთგან ნიანგმა
მიაპყრო ხედვა
და მან იხილა,—
ეწერა ერთ „ქვას“,
რაც არ მომხდარა,
რომ კაცს თვით ეთქვას!..

„აქციონური“
აქ არის საქმე:
„Закутыльсырье“!..
შეგნიშნავ აქ მე,
ეს ნიშნავს: „ნელლი“

თეატრის ცხოვრებიდან



მსახიობი ფულის მიღების წინ.

გადავისაქმე“!

სხვად რომ ვსთქვათ:
ჩავდე სადმე სარდაფში,
ვითა საპონი
გაღებო ქაფში,
ან როგორც ფინჯაკს
გასცვლიან „ყლაპში“!..

და რა სცნო ჰაზრი
ამა სიტყვისა,
თუმც იგრძნო ცეცხლი
მან გულისწვისა,
გულით კი მაინც
ვადიკისკისა!..

მაგრამ შეჰზარდა
ხმა თვის სიცილის,
მყისვე ფალასკა
დახურა კბილის
და სჩნდა უმალეს
საკუთარ ჩრდილის!..

და სხვა სახლის წინ,
და სულ სხვა „ქვაზე“,
რადაც რომ იყო,
შენიშნა ხმაზე,
და წიანგიც მყის
მუნ მიიკუნტა.

ნახა სწერია:
„Один, два фунта...
Произ-торг-бюро
Здесь пролеткульта“,
კულტურის საქმე,
სჩანს, „აგვეუბნა“!..

— „ო, რამდენი გვყავს
ქვეყნად მასხარა“!..
ველარ გაუძლო:
გადაიხარხარა,
მობრუნდა და ქვას
კუდი ახალა!..

ერთგან ნახვრეტში
მან შეიჭვრიტა:
ნახა კარტონის
„ქვაზე“ ფირფიტა

და თვისი ცხვირიც,
მუნ გადაჰყინტა.

ამოიკითხა
და იქ ეწერა:
Н.-К.-Зем комиссия
Реселесера...

Переселенц-თა
შესწყდა ჩაწერა“!..
თვითონ ეშმაკიც
ვერ მიხვდებოდა,
ნაწერში თუ რა
იმალებოდა,
მაგრამ წიანგმა
სძლია სიძნელეს:

ამ ქარაგმაში
სხვა სჩანდა რამე,
მაგრამ, დღის ნაცვლად,
რომ იყო ღამე,
მან თავი მისცა
ისევ სიძნელეს!..

ირგვლივ სიჩუმე
ესვენა, მკვდრული...
ის მიდიოდა
თავჩაქინდრული
და გულს განზრახვა
უღრღნიდა მტრული,
რომ უცბათ შესდგა—

ერთ ქვის ახლოსა:—
„Представительство
Здесь Наркомпреса
С-С-Ре Армении“
„ქვაზე“-დ ეკოსა...

გულს ეცა ტალღა
ასიცილების,
ძლივს დაკრეჭა-ლა
მორთო კბილების,
რომ ხმა სინდისის
განხდა მხილების:

„უცხო ხილების,
ქარ წისქვილების,
ეს ღაღადება
ქვატეხილების:
ქატოს მზადება,
ნაცვლად ფქვილების,

ეგ-ზომ სიმრავლე
ამ „ცოდვილების“,
მსგავსთა ზემორე
ჩამოთვლილების,
ყოვლად უმიზნო
და მოცილების,

აღმშენებლობის
აფორხილების,
ვსთქვათ, ვის წინაშე
გაგვემხილების
დიდ სამსჯავროში
ჩვენი შვილების“?!

და, რა კბილების
დასცო ფალასკა,
მყის გააკეთა
წიანგმა დასკვნა,
რომ ეზარალა
მას ეს „ვილაზკა“!

მოქმედი უწინააღმდეგობა.

(გერმანული დრამა რამდენიმე ბილწი
გამოსვლებით).

მოქმედი პირები.

შტრეზემანი. გერმანიის მთავრობის თავ-
მჯდომარე.

მდივნები თავმჯდომარისა.

ხმა ხალხისაგან.

მოქმედება სწარმოებს შტრეზემანის კაბი-
ნეტში, რომლის კედელზე გაკრულია გერ-
მანიის რუკა და მარკის დაწვევის და ლო-
ლარის აწვევის დიაგრამა.

შტრეზემანის გამოსვლა—პირველი და უკა-
ნასკნელი:

შტრეზემანი. ოხ! როგორც იქნა, გავი-
და ჩვენი. უმოქმედო წინააღმდეგობა შეგს-
წყვეტეთ და გავაუქმეთ. რურის მივეცით.
ახლა ბატონი პუნკარე ველარაფერს გვი-
ზამს. (ჯდება საფარქელში და ფიქრობს,—
განცხრომით მოსვენებას მისცეს თავი).

მდივანი. (შემოვრბის აჩქარებული). თქვე-
ნო თავმჯდომარეობა! მიღებულია ტელე-
გრამა საფრანგეთიდან...

შტრეზემანი. (ცალყბად). ხო-ო... კარგი,
კარგი... ალბათ მადლობას მიცხადებენ ჩემი
მოღვაწეობისათვის. (გახსნის და კითხუ-
ლობს ტელეგრამას): „გერმანიის თავმჯდო-
მარეს, ბ-ნ შტრეზემანს. ევროპაში პოლი-
ტიკური წონასწორობის შესანახათ, მსოფ-
ლიურ სამართლიანობისა და ცივილიზაციის
სასახელოთ, საფრანგეთის მთავრობა საჭი-
როთ სცნობს, დაიკავოს გერმანიის რკინის
გზების ყველა ლიანდაგები, გადმოცემა უნ-
და მოხდეს ოცდა ოთხ საათში. პუნკარე“.
ოხო! ხედავთ, გვიწვევს ბრძოლაში... უკაც-
რავათ, ვერ მოგართივ... არავითარი წინა-
აღმდეგობა... წაიღეთ, რაც გენებოთ... რკი-
ნის გზები?—ინებეთ, მიირთვიტ რკინის გზე-
ბი... (აწერს ხელს ქაღალდს)... ახლა კი შე-
იძლება დასვენება... (შემოვრბის მეორე მდი-
ვანი).


მეორე მდივანი: „თქვენო თავმჯდომა-
რეობა! მიღებულია ტელეგრამა საფრანგე-
თიდან, ბ-ნ პუნკარესაგან“.

შტრეზემანი: ოხო! ახლა უსათუოდ მად-
ლობას მიცხადებს. (კითხულობს)... რაო,
რაო?... „წინანდელი მოთხოვნების დაკმა-
ყოფილების სათაემდებოთ, საფრანგეთის
მთავრობა სთვლის საჭიროთ, მოითხოვოს
აგრეთვე ის მიწებიც, რომლებზედაც გა-
დიან რკინის გზის ეს ლიანდაგები. პუნკარე“...
მიწები... (სიხარულით). მერე და ვის
ესაჭიროება ეს მიწები? მიირთვიტ, გეთაყვი.
ჩვენთვის უფრო ადვილი იქნება მართვა-
გამგეობა. (აწერს ხელს, შვებით ამოისუნ-
თქავს და ჯდება). ახლა კი, ბატონო ფრან-
გებო, მეტს ველარას მოიგონებთ. ყველა-
ფერი მოგეცით,—მეტი მოსაცემიც აღარა-
ფერი გვაქვს... (შემოვრბის მესამე მდივანი).

მესამე მდივანი: თქვენო თავმჯდომა-
რეობა, ტელე...

შტრეზემანი: საფრანგეთიდან? მოიტა აქ.
ალბათ, მილოცავენ მე საპატიო ლეგიონის

თეატრის ცხოვრება



მსახიობები ფულის მიღების დროს.

ორდენს (კითხულობს): „მიწა ცოტაა. მოგვეცი ყველაფერი, რაც მასში და მასზეა. პუანკარე“. (შტრეზემანის სახეზე განუსაზღვრელი აღტაცება გამოიხატება, ფრანგების გონების სიმბეჭდის გამო). ყოჩაღ, ბიჭებო! წაღება—წაღებას უნდა ჰგავდეს!... შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ ძაღამდი გაავაშვეს ტყავი. (ამაყათ) მაგრამ ჩვენი პოლიტია მტკიცეა: არავითარი წინააღმდეგობა!... დაე, კომუნისტებმა ეწინააღმდეგონ, თუ სურთ... (შემორბის მდივანი). რა ამბავია? კიდევ ტელეგრამა?!... (კითხულობს): „ცოლები და ქალიშვილებიც... პუანკარე“. ეს კი სულ ადვილია. ცოლები და ქალიშვილები მიირვიან... ჩვენთვის უკეთესია... მიეცე... (შემორბიან მდივანები ტელეგრამებით). რა არის მანდ?... „წინაპართა საფლავები“. მაქ რაღა არის? „აერი“... მიეცეს... კიდევ? „შალვარი“... მიეცეს... მიეცეს... (მდივანები გადიან. ჩამოვარდება ხანგრძლივი, რევოლუციის წინამორბედი მძიმე სიჩუმე. შტრეზემანი ეშმაკურათ იღიმება. მიდის გერმანიის რუქასთან). მგონია, ყველაფერი მივეცი... აი, ამას ქვია უსისხლო გამარჯვება ყველა ფრონტებზე... დიახ, ჩვენ ვიგინდარა ბოლშევიკები არ გახლავართ. აბა, შინჯე ახლა, ბ-ნ პუანკარე, რამე შარის მოდება! ყველაფერი მოგეცით (მიუბრუნდება ხალხს), ყველაფერი მივეცი, ხომ მართალია?..

ხმა ხალხისაგან: თქვენი თავის მიცემა საფრანგეთისათვის რატომ დაგავიწყდათ?

შტრეზემანი (შემკრთალი): ღმერთო ჩემო, როგორ სრულებით გადამაგიწყდა ეს! უბედურება თუ გინდა, ეს არის, აი. არ ეწყინოს ეს ბ-ნ პუანკარეს. ეხლავე უნდა გავასწორო ეს შეცდომა. ეი, ვინა ხარო მანდ! (შემორბიან მდივანები). გაგზავნეთ ეხლავე ტელეგრამა პარიზში: „სინდისიერათ შევასრულე რა მიღებული ვალდებულება, ყველა გადმოცემულ კო-

ნებასთან ერთად, მაქვს პატივი, მოგიძღვნათ ჩემი თავი. პირველსავე თქვენს მოთხოვნილებაზე შემძღვია გეახლოთ. შტრეზემანი.“ (მდივანები სასწრაფოდ გარბიან ტელეგრამის გასაგზავნად. შტრეზემანი მოქანცული ვარდება სავარძელში. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის მდივანი).

მდივანი: თქვენო თავმჯდომარეობავ, ტელეგრამა არის პარიზიდან.

შტრეზემანი: მოიტა აქ (კითხულობს): „ტუტუცები არ გვესაჭიროება, — ჩვენიც საკმაოდ გვეყვანან. პუანკარე“...

(ფარდა)

ჩაფიქრებული გალლი

(„კოკოლილი“)

ჰე, მუმლი და მუხასაო.

ჰე, მუმლი და საბჭოთა ქვეყნებსაო

ჰე, გარს ეხვეოდაო

ჰე, მუმლი და საბჭოთა კავშირსაო,

ვით, მუხას ესეოდაო.

ჰე, მუმლი საბჭოთა მხარესაო

დახრჩობას უჭაღიდაო,

ჰე, მუმლი რეაქციასა

დიფერამბს უგალობდაო...

ჰე, აბობოქრდა ზღვა-ღვარი.

მუხის გარს დაიგუბაო:

საბჭოთა ქვეყანა გადაჩაო,

მუმლი კი დაიღუპაო!...

ონავარი.

ცოლეზი

(სურათი)

კომუნალურ სახლის საერთო სამზარეულოში, ქვაბებით და ქოთნებით მოვენილ საცეცხურის გარშემო, ფუსფუსებენ რამოდენიმე ქალები.

ისმის განუწყვეტელი ტიტინი და მითქმა-მოთქმა.

— ეს თქვენ გადადგით ჩემი ქვაბი? — მკვახეთ ეკითხება ერთი ჩასუქებული ქალი — მეორეს

— დიახ, მე გადავდგი! — მკვახეთ უპასუხებს ის.

— მერე რატომ? თქვენ იცით, ვინ ვარ მე?

— არც მინდა ვიცოდეს! არ შეიძლება ნახევარი საცეცხურის დაკავება ამხელა ქვაბით.

— არ გინდათ იცოდეთ — მე ვინა ვარ? — აღშფოთებით ეკითხება ჩასუქებული.

— არა!

— ნახეთ! — მიმართავს ის დანარჩენ ქალებს: ამ სალახანას არც კი უნდა იცოდეს, ვინა ვარ მე! ჩემი ქმარი საპასუხისმგებლო თანამდებობის კაცია, — ამას კი მოსამსახურე ვგონივარ! გასწევ, თუ არა იქით მაგ კეცას! გესმის შენ?

— რაო?! — ანჩხლდება თავისი მხრივ მეორე, — მე თქვენ გთხოვთ! ნუ მიყვირით! მე და ჩემი ქმარი თვრამეტი წლიდან პარტიაში ვართ?

— თვრამეტი წლიდან! — დაცინვით იმეორებს ჩასუქებული, — ჩემი ქმარი, იქნება, გადასახლებულიც კი იყო...

— გადასახლებულიო! — ჩაერია დავაში მესამე, — როგორ მოგწონთ ეს თქვენ? მაგის ქმარი უპარტიაო და ეს კი პარტიაობას ჩემულობს! გადასახლებული იყოვო!

— როგორ? ჩემი ქმარი უპარტიაო? — შეუარაცყოფით ამბობს ჩასუქებული, — ვითომ და, პარტიული ბილეთი რომ არა აქვს, იმიტომ უპარტიაო? ნეტა, სხვა კომუნისტები იყვნენ ისეთები, როგორიც ჩემი ქმარია! — ამაყათ ამბობს ის და გულმოსული მედიდურათ გადის სამზარეულოდან.

— თქვენ არ იცით, ვისია ეს სანავთე? — ეკითხება ახლად შემოსული მაღალი, გამხდარი ქალი მეორეს.

— ეს სიდოროვის არის.

— რას ნიშნავს სიდოროვის? მე თქვენ გეკითხებით, რა თანამდებობის არის მისი პატრონი, თვარა გვარი რათ მინდა მე მისი.

— საქმის მწარმოებელი — სიდოროვის!

— ასე გეთქვათ თავიდან! საქმის მწარმოებელის სანავთეს ნახევარი მაგიდა უკავია, თითქოს საქმის მართველის იყოს და არა უბრალო მწარმოებელის!

— თუ თქვენ ხელს გიშლით, მისწით იქით.

— მივსწევ კიდევაც, ვისი მეშინია!

სამზარეულოში შემოდის პატარა გამხდარი ფერმკრთალი ქალი.

— ვინ გასწია ეს ჩემი სანავთე იქით? — კითხულობს ის გაბრაზებული.

— მე გაგსწიე, მერე თქვენ რა? ეს ხომ სიდოროვის სანავთეა?

— როგორ, თუ მე რა! ერთი კვირაა, რაც მე ჩვენი საქმის მწარმოებელი — სიდოროვის სანავთეს ვხმარობ!

— იხმარეთ, ვინ გიშლით მერე?

— როგორ თუ „იხმარეთ“, როდესაც მიგიგდიათ კუთხეში? — გაწიწმტებული ამბობს პატარა ქალი, — თქვენ ამისთვის პასუხს აგებთ ჩემ ქმართან!

— ოჰო! ძალიან კი მეშინია თქვენი ქმრის!
წარმოიდგინეთ!—დაცინვით ამბობს მალალი
ქალი.

— ჩემი ქმრის არ გეშინიათ? იქნებ ის
თქვენ ფეხზედაც არ გკიდიათ?

— თუ გინდ, მასეც იყოს!

— როგორ? საქმის მართველი თქვენ ფეხ-
ზედაც არ გკიდიათ?!

— საქმის მართველი?—ხელათ გამოიცვა-
ლა ხმა მალალმა ქალმა,--რატომ ამდენხანს არ
თქვით, თუ თქვენ საქმის მართველის ცოლი
იყავით? განა თქვენ სანავთეს შეუძლია ვი-
სმეს ხელის შეშლა? მე სიღოროვის მეგონა.
აი, აქეთ მოსწით! მე იქით გავაჩოჩებ... რა
კობტა სანავთესა!.. აი, სანავთეს სწორედ
აგეთი უნდა!..

სვენ.

შ ა რ ა დ ა.

უნდა აწ წესი დაირღვას,
დღემდის ხელშეუხებელი,
რადგან მსურს შევთხზა შარადა,
აქამდის შეუძლებელი,

და ორი სიტყვის მაგირად,
სამს ითხოვს ესე შარადა;
მაშ, ამადევნეთ თქვენც უკან
ამ სამთა საძებარადა!

პირველი სიტყვის საგანი
ჰგდია ციმბირის მიწაში,
ავსტრალიაზეც ამბობენ,
უფრო კი—ამერიკაში;

ყვითელი ფერის ლითონი
ძვირფასია და ბრჭყვიალა...
მისი მეორე მარცვლი
ეშმაკმა გაატილა...

პირველი კი ჩვენ გვჭირია!
შარადის დასაწყებათ!

აწცა მეორე ეძიეთ,
კაცთა რამ ითქმის კრებათა:

ნათესაური პრინციპი
უდევს რა საფუძველათა,
ცხოვრების ფაქტორი არის
დღესაც, თუმც უტრო-ძველათა...

იმავე სიტყვით ისაზღვრის
დიდ მწერალთ მიერ წერილი,
დაყოფილი რა მითი,
მითივე ამოკერილი...

მოადგრეთ ბოლო ანბანი,
სამი ჩვენ დაგვრჩეს, კარგია,
რაც რომ უკვე გვაქვს, იმაზე
მისაშენებლათ გვარგია!..

ახლა ვესტუმროთ მონასტრებს,
ან და ნამონასტრალებსა:
შავ ტანსაცმელში, ვით აჩრდილთ,
ვისაც შეასწრებთ თვალებსა,

ეტანეთ მამრობითი სქესს,
ერიდეთ მათში ქალებსა,
პირველთ წოდება გვჭირია,
შარადას მოგვიმრგვალებსა....

შავი საგანით დასრულდა,
ჩაყვითლებული ქონითა,
არც ერთ თვეს წელიწადისას
არ ჩამორჩება წონითა!..

თეატრის ცხოვრება



მსახიობი, ფულის მიღების შემდეგ.

მას ათას ცხრაას ჩვიდმეტმა
ფერიც კი შეუტრიალა,
ყვითელი ქონის პატრონნი
ძირს! დასცა გაატილა...

გულს ბრძოლის ცეცხლ ანანთებმა
სახეც ამ შუქით იალა:
ცას რისხვის მეზი მოჰგლიჯა,
მტრის თავზე ააგრილა;

ნიშანში ამონაღები
ევროპა შეაწრიალა,
ცხოვრების აზარმაცია
და თვითმოძრავი ბზრიალა!..

ენუქა.

კატარა ფელსტონი.

დროს ტყუილათ ნუ კარგავთ, თუ ძმა ხართ!
(საქულას მოწოდება)

— ვენაცვალე თქვენ ვუფლებას, ბოლშე-
ვიკებო! რალას არ მოიგონებთ! გუშინ-
გუშინწინ დავადგინეთ, რომ ყველა მუშის
ხელის გაქნევამ უნდა მოუტანოს სარგებლო-
ბა მუშების შრომის სამშობლოს. არც ერთი
მუშის და გლეხის მიხრა-მოხრა არ უნდა
გაიაროს უსარგებლოთ ჩვენი ნორჩი სახელ-
მწიფოსთვისო. საქმე ისე უნდა დავაყენოთ
ყველგანა, რომ, ცოტა ენერგიის დახარჯვით,
ბევრი კარგი საქმე გავაკეთოთო. ნუ ვიმუ-
შავენთ გადაჭარბებულს, მაგრამ ჩვენი მო-
კლე მუშაობის ნაყოფები უნდა დღე და დღე
ეზარდოთო. მეგობრებო, ამნაირათ დაყენე-
ბულ საქმეს ერთი უცნაური სახელიც და-
არქვეს—ნოტი.

— აი ამ ცოტა ხანში კიდევ რაღაცა
ახალი შტუკა გამოუგონიათ. მოსკოვის გა-
ზეთებში ვილადა მამაცხონებული სწერს შემ-
დეგს: ამერიკელები იძახიანო: „დრო—ოქრო-
აო“ და ჩვენ უნდა ვთქვათ: „დრო—სოცია-
ლიზმიაო“. ამისათვის ძვირფასი „ამხანაგი
მოგვიწოდებს შეგქნათ ახალი ორგანიზაცია,
რომელიც თავის მიზნათ დაისახავს დროს

ეკონომიას და დააჯარიმებს იმ პირებს,
რომლებიც ძვირფას დროს ცუდ-უბრალოთ
ფლანგავენ.


— შენ ენის ძირკვებს ვენაცვალე! განა
ამაზე კარგი რამე თქმულა როდისმე!
„დრო—სოციალიზმია!“ გაიგეთ, ე, მოშლი-
ლო გრამაფონებო! ყბედებო, პირმოქნილებო,
ზასედანიის მონებო, გძელი, უთავბოლო
დაკლადების მოყვარულნო და გაქცეუბელ-
ნო! გაიგეთ და ამის შემდეგ ცოტა ნაკლები
იყბედეთ.

— გაიგეთ სუყველამ: ვისაც რომ ილლი-
აში ამოდებული გაქვთ ბუტერბროტებით
და პირაქებით გამოტენილი პორტფელები
და დაეთრევით გალავინსკზე; რომლებიც
რომ, სამსახურში ერთი საათით საქმეზედ
ვერ ჩერდებით!

— თქვენც გეხებათ ეს, სოვბარიშნებო,
რომლებიც რომ სამსახურს ატარებთ კავალ-
რებზე ლაპარაკში, რომლებიც რომ ერთ
უბრალო ქაღალდის მოწერის გამოთ უფრო-
სის კაბინეტში საათნახევარი რჩებით.
თქვენც, მოდნი-პრიოსკებიანო, რომლებიც
რემინგტონის მანქანაზე, სპეცის უშინარსო
დაკლადთან ერთათ, დუშკასთან გასაგზანათ
სიყვარულის წერილებსა ბეჭდავთ.

— არც თქვენ გაწყენთ ამის გაგება, სპე-
ცებო—სოვბურებო, ყოფილო ვეჭილებო,
ჩინოვნიკებო და ფეხზე-მოვაჭრენო! გაიგეთ,
რომ თქვენი დრო აქვთ დაქირავებული
მუშებს და გლეხებს და თქვენ არა გაქვთ
უფლება სამსახურის დროს სხვა საქმეებში
გამოყენებისა, თუ არ გინდათ ჭიტლაყო და
„ვოლჩი ბილეტი“. დეეგდეთ და ბეჯითათ
გააკეთეთ მონდობილი საქმე! ნუ დაეთრე-
ვით თქვენ პირადი საქმეების მოსაწყობათ!
ექვსი საათის სამუშაო დღე თქვენთვისაც
არსებობს.

— თქვენც გამაიღეთ ყურებიდან ბამბა,
„ატვეტტტვენი რაბოტნიკების“ ბიძაშვილე-
ბო, ძმა-ბიჭებო და ახლომეგობრებო—ტურ-
ფებო! ნუ დაწრწით „რეკომენდატელნი“



სტუდენტები გაპარვის შემდეგ

ბარათებით დაწესებულებებში აღვლილ მისაღებათ, „რაზრეშენიების“ გამოსატანათ, დატუსაღებულების გამოსაშვებათ, ოთახების მისაღებათ, ნალოგების შესამცირებლათ! ნუ უკარგამთ მუშავენს ძვირფას დროს, ნუ უწევამთ მათ ნერვებს თქვენი უკანონო და უპატიოსნო თხოვნებით! ნუ აყენებთ ჩვენ ამხანაგებს უხერხულ მდგომარეობაში!

— „დრო სოციალიზმია!“ გაიგეთ სუყველამ, ვისაც დღევანდლამდის ამაზედ არ გიფიქრიათ, გაიგეთ, რომ დროს ცუდ-უბრალოთ, სახელმწიფოსთვის უსარგებლოთ მფლანგველნი არიან სოციალიზმის მტრები, რომლებიც უნდა იყვნენ პასუხის გებაში მიცემულნი, როგორც კონტრ-რევოლუციონერები.

ვინმე.

სანსკრალ პეროპაში.

პუანკარემ უთხრა ებერტს: „ეგ ბალი დამიცალეო! ნახშირი უნდა საფრანგეთს, აბა, პასუხი მალეო!“ ებერტმა უთხრა „ინებეთ, ვინ გედავებათ რურსაო? ნახშირი—დაგვილოცნია, თუ არ წავგართმევთ პურსაო“... ზის მარტო თავის ოთახში და შეეპყვება სადილსა, უყურადღებოდ სტოვებს ის მშრომელი ხალხის წადილსა. რაღაცამ დაიგრილა, ერთი რამ არის ორშია: ან მარკა მიდის უფსკრულში, ან შტრეზემანი—ომშია!... ორივე ერთად მომხდარა, ეს კუნოს გაახარებას, მაგრამ არ იცის, რა უყოს მან წითელ „როტფანესა“. პუანკარე გრძნობს წინდაწინ, ვერ ეღირსება ხეირსა...

ბელგია გულში იცინის: საქმეს უსწორებს რეინსა!... წითლდება სისხლით ევროპა, აივსო ტანჯვის ფილა, სჩანს ოქტომბერმა დღეს იქაც დროშები ააფრიალა.

კულა-მელა.

მულა გელნიარი ოჯახი.

(გურული სცენა).

— გამარჯობა, ქაიხოსრო, შენი! რავე ცხოვრობ, რავე კარგათ გიკითხო? რამდენი ხანია აღარ მინახავხარ, — მომენატრე, ქაიხოსრო, შენს მტერს გუუხმა თავის კოსრო!

იცოცხლე, იცოცხლე, ჩემო ბუღუა, ჯაბა, მე რაღა საკითხავი ვარ, სული არ ამევიდა, თვარა მეტი არაფერი მაკლია. შენ რავე ხარ, ბუღუა? გეტყობა, ისევ ძველებურა-შენებურად კერკეტათ, ხარ, ვეფერმა ვერ მოგერია—ქე ხარ მხიარულად—ფეხებზე გკიდია ფოშტის ფული!

— რომ ჩამოუშვა ცხვიპირი და ვიტრო, ჩემო ქაიხოსრო, მაგიზა ვინ დამინიშნავს პენციას! ვიტრო, რეიზა ვიტრო, ცენტერადის მოლოზონი ხომ არ ვარ? დღეს არ მაქ ხვალ მექნება, ხვალ თუ არა, ზეგ ხომ მაინც მომესწრება სულზე. რასაც მე მივესწარი, აფერი აღარ გამიკვირდება აწი.

— ნიკოლოზაი, მისი მამა ალექსანდრე, მისი ბაბუაი, კიდევ ალექსანდრე—სამივეის ხემწიფობა მახსოვს; იგენს თუ რამე გაბანდალდება, რავე მეგონა, იგენის დღეგრძელობას ყველა დაჩოქილი ეხვეწებოდნენ ღმერთს—საყტარში ბრავალ ჟამიერს უგალობდნენ, მარა, რომ მუჟუნია მისი დროი—არც ღმერთმა უშველა და არც ჯანდარმებმა,—ქე ჩეირანცხა; მინისტრები, ლურბენატორები, პრისტავები, ხუცები და საყტრებიც ქე შეიყოლია ქვეშ.

„ქეშაქის მუშა—ღმერთმა დაფუშა—ღმერთიც თურმე აფერი ყოფილა, აფერი ძღვევა არ ქონია, არც მას და არც მის ხატებს—საყტარი ნაგულაის ხოხოლასავით დაშალეს და თავი არ კაცს არ წამოსტკენია. შეშლილებით უნდა ავსილიყო ქვეყანა, რომ რამე შეძლებოდა, მარა თურმე ნიჩეო ნიეტუ, ჩემი ორკლასიანი ბალანაი მიერია მას.

— მაგი, რაცხა იყო, ქე ვიცი, ოჯო, შენ რაცხა სხვა მითხარი, ვინ მოკტა, ვინ მორჩა? ესიკაი მორჩილადე რავე არის არ მოკითხეს ძველი ცოდვები?

— ესიკაი ქე იარება ისევ ისე მამალ-ინდოურივით გაფუყული—იმას რა უჭირს: ნიკოლოზაის დროს ბარე თვრამეტ წელიწადს მამასახლისათ იყო და თალა საზოგადოება. მენშევიკობის დროს უფროსი შვილი გადიეფართხა თავზე და პასუხი არა კაცს არ მუუთხონია. ახლა უმცროსი შვილი. პატიულობს ერთ ოჯახში ყველა პარტიის არიან და რა უჭილარიან. ხემწიფობის დროს დუუჭირეს უფროსი, მამამ გამუაშობია, მენშევიკების დროს დუუჭირეს უცროსი, მამამ გააშობია, ახლა დაიჭირეს უფროსი, უცროსმა გააშობია და ამფერ ოჯახს რა დააფსებს. ყორიფელ დროს მისი ჯიბიზა და მისი ნალიეზა ხმა-რობს...

— აფერია, ჩემო ქაიხოსრო, აფერი, გავიგონია ფეიქარის და მისი ძმის იგავი: „ჯერ არ გაუგიათო, ჯერ არ გაუგიათო“.

— რა იგავია კაცო, რა ფეიქარი და ძმაი?

— არ იცი? აბა მე გეტყვი, ყური და მიგდე: იყო თურმე ორი ძმაი,—ერთი ფეიქრობდა და ლარიბათ ცხოვრობდა, მეორე აფერს არ აკეთებდა, მარა მაინც შეძლებულათ იყო. ფეიქრის ცოლი აყვედრიდა ქმარს მისი სიღარიბეს და მდიდარი ძმის მაგალითზე უჩვენებდა. ფეიქარი კი ცოლის საყვედურზე მულამ ერთნაირად უპასუხებდა: „ჯერ არ გაუგიათო, ჯერ არ გაუგიათო“ და განაგრძობდა თავის საქმეს.

ერთხელ ფეიქრის ცოლმა მოიბრინა ქმართან და შეატყობინა, რომ მდიდარი ძმა დაუჭერიათო. ფეიქარს საქმიდან თავი არ აუწვევია ზევით, ისე განაგრძობდა მუშაობას და იძახოდა ძველებურათ: „ახლ გაუგიათო, ახლა გაუგიათო“. თურმე მისი მდიდარი ძმა ყალბ ფულებს ქრიდა. ასე დიემართება, ჩემო ჯაბა, იმ შენ ესიკასაც.

— რა ვიცი, ძამია, რავე, აგი მისი წუთისოფელი ქე მოქამა და აწი გინდა დი მართოს და გინდა არა.

ოჩანი.

სხოვრავის კვანძი.

სიმართლეს ხშირათ სჯობია ღონე, ღონეს კი ხერხი, თუ მოიგონე. რთულია ცხოვრება, ძნელია ცნობა და ხშირათ დაგლუპავს ოცნება, გრძნობა. გაძვირდა ცხოვრება, არა გაქვს ფული, სხვებს კი აქვს, შენ არა, გიკვდება გული. ოჯახში ცოლშვილსა მოშვიდა პური,

სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხოვრებიდან

შენა ხარ მოვალე ათხოვო ყური.
ბონების დასტებით საესეა კასა,
ყოველ დღე დაითვლი მილიარდს, ასსა.
სულ ცოტა მოაკელ მაღულად, ჩუმად
(ჭამა პამიდვრის მოგებზრდა უმად),
ცოლს კაბა უყიდე და შვილს კი ბულკი...
გაგიგეს და კასას დაასვეს ლუჭი.


ვიყიდი, გავყიდი, მოვიგებ ბონსა,
მიზანსა მივახწევ და გავალ ფონსა.
ქონებას შევიძენ, შევირთავ ცოლსა
და წილს არ დაუდებ ნაცნობებს, ტოლსა.
ბირჟაზე იყიდე ლირები ძვირად,
ფასები დაეცა, გავყიდე ჩირად.
გაკოტრდი, მევახშის დაგედვა ვალი,
გაგიჭრა ქონება, გაფრინდა ქალი.

შესრულდა ოცი თვე... ხარ ბირჟის წევრი.
(ცაება და ტანჯვა იქ შეგვხდა ბევრი)
გაგზავნეს ადგილზე... მიდიხარ.. ჩქარობ,
მისწული მიიღეს... ტყუილად ხარობ.

ამ ქალმა ლამაზმა მოგხიბლა მეტად
და მისი ტრფობითა დადიხარ რეტად.
პროსპექტზე გამოჩნდა... ის მოდის ზანტად.
უღვაშებს იგრეხავ, მიდიხარ „ფრანტად“.
უცქერი და ამ დროს—ქვას ჰკარი ფეხი,
დაეცი, თითქოს თავს დაგეცა მეხი.
ხარხარებს სულ ყველა... იცინის ქალი,
გამვლელს რ გამოვლელს შენზეაქვს თვალი.

იხელი

სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხოვრებიდან



ლექციის დროს უნივერსიტეტის აუდიტორიაში

უპატრონო ტახტის
გასამართლება

ამ დღეებში „ელემის“ ბაღში, ვერაზე, მო-
ხდა გასამართლება უპატრონო ტახტებისა,
რომელთაც ბრალდებოდნენ საბჭოთა საქა-
რთველოს მთელი ტერიტორიის, ტყეების და
ველების აოხრება, აწიოკება და შიგ მოსა-
ხლკარე ფრინველ-ცხოველთა ბუნაგ-ბუდე-
ბის აკლება, ატიალება.

კვერცხებიდან გაუკეთებინებია ოპერაცია
ბერწობის წინააღმდეგ და მართლაც მოუყ-
ვანია გოჭები, მაგრამ ისეთი მახინჯები, რომ
თვით მშობელს წასვლია გული მათ დანახ-
ვაზე და ძლივს მოუბრუნებიათ.

მაღე ეს მახინჯი გოჭები ისე დაგეშილან,
გაწუწკებულან და დაღორებულან, რომ
მთლად ამოუგდია თავიანი ღინგებით ყველა
ცხოველების ბუნაგები. როდესაც გაბრაზე-
ბულ ნადირებს და ფრინველებს მათი გასა-
მართლება გადაუწყვეტიათ, მათ კული ამო-

ლექციის დროს უნივერსიტეტის დერეფანში.

უძუებით და ჩრდილოეთის უღრან ტყე-ჭა-
ობისთვის შეუფარებით თავი.

აქაც არ მოუშლიათ თავიანთი ღორმუ-
ცლობა: შესვეიან დაბურულ ტყეებსა და გა-
უვალ ქალებს და კალიასავით გადუხურავთ
და გადაუჯიჯვნიან ყველაფერი. როდესაც
აქაც გაბრაზებულ ცხოველებსა და ფრინვე-
ლებს მოუწადინებიათ სამაგიეროს მიძღვნა,
ტახები გამოპარულან ჩუმად და დასავლეთ
საქართველოში შემოჭრილან კავკასიის მთე-
ბის უღელტეხილით.

აქ, ქუთაისის ახლო, საღორიის ტყეში და
საფიჩხიაში, გაუშენებიათ ბუნაგი და დარი-
ანის ნეზთან შერევით თავის მხრით ამთაც
უყრიათ გოჭები, რომლებიც ჩქარა დაბურა-
კებულან და მესდგომიან წინაპრებივით მთე-
ლი არემარის გადაბრუნებას.

აქაც რომ გაბრაზებულ ნადირ-ფრინვე-
ლთ მოუწადინებიათ მათი ამოწყვეტა, უპა-
ტრონო ტახტებს შვებნელ ლამის წყვდიადით
და ქარბუქით უსარგებლიათ და აღმოსავ-
ლეთ საქართველოსკენ გამოპარულან.

მაგრამ აქ კი კისერი მოუტეხნიათ. მათ
აკლებულ ბუნაგების და ბუდეების პატრო-
ნებს ერთ მშვენიერ დღეს შეუბოჭიათ და
მათი გასამართლება გადაუწყვეტიათ. ეკსპე-
რტიზის დასკვნით, დედა მიწის ზურგზე წი-
ნათაც იშვიათად იყვნენ ასეთ წყვეულ ჯიშის
და ჯილაგის ცხოველები. ისინი წარმოიშვე-
ნენ მე 19-ე საუკუნის დასასრულს და მეო-
ცის დასაწყის გამოფუტურებულ აწ დაჩა-
ჩანაკებულ ბურჯუაზიის ფაშვიდან. აქედან
ზარმოიშვა მათი სახელწოდებაც. მოწმეთა
ჩვენების და დაკითხვის შემდეგ, რამაც და-
დასტურა ყველა ბრალდებანი, სასამართლო-
მ გამოიტანა შემდეგი რეზიუზილიცა:

„ვინაიდან ამ უპატრონო ტახტებმა თვის
უშნო, ცისფერ ღინგებით ეგზომ დიდი
ზიანი მიაყენეს საბჭოთა რესპუბლიკაში მშ-
ვილობიან მცხოვრებ ცხოველ-ფრინველებსა,
განდევნილ იქნან ამათ წრიდან და შერეულ
იქმნენ თავიანთვე ჯიშის და ჯილაგის ჯოგ-
თან, რომელიც სრულიად საქართველოს
მწერალთა კავშირის ხარჯზე ინახება
ყარაიაზის იალაღებზე.“

ცივილიზი.



ზოგი რამ წარსულის არქივიდან, ზოგიც — აწმყოიდან.

გილოცვაგისაგური.

გულის ხმიერო,
მზევ, ბედნიერო,
შეკითხვას ვბედავ:
ხედავ, რას ხედავ,
რაც ცაში ზიხარ,
ჯერ თუ მოსწოიხარ
ასეთ დროებას?!
საწუთროებას
მიეცა აზრი,
წავიდა მკაცრი
წარსულის სუსხი,
შავ-წელთა ნუსხით,
და წარიყოლა
შიში და ძრწოლა...
და ჩვენი ბრძოლა
აწ დაგვირგვინდა
იმით, რაც გვინდა!..
ჰა, ამობრწყინდა
პირბადრი მთვარე,

რა შრომის მხარე
მზემ გადალახა...
ამანაც ნახა
დიდება ჩვენი
და შეუქის მფენი,
შუქით ხუთთავით,
შუქურ ვარსკვლავიც
აბრძანდა ცაში!
მისი კაშკაში,
ნარნარი ფერი,
ვით ლალის ჩქერი
გადმოეფინა...
ძირს კვლავ ეძინა
ჩვენი ბუნებას...
ზამთრის წუნებას
არ ჰქონდა ძლევა..
მაგრამ ჰა, რხევა
იწყო ჰაერმა:
იელვა ფერმა.
აჭივდა ლალი
და პატარძალი

საგაზაფხულო
შეიტყბე, გულო,
შენი აისი,
ტურთა მაისი!..
და ჭირნახული
განხდა **ზაფხული!**
გაიგოს შრომა
და **შემოდგომა**
დადგა ახალი:
ისევენებს ხმალი;
თოფის წამალით
სუფთა და მშრალით
საესობს თოფხანა,
ალმშენებლობის,
თანამშრომლობის,
სოლიდარობის,
ჩამოდგა ძმობის...
მაშ, გამარჯვება,
სიმზნე და შვეება,
მეშურ-გლეხური
ჩვენი მთავრობის!..



ვით ოკეანე, ბობოქარი,
ჰქუხს გერმანია...
„განწირულ გემში“ მცირე გუნდით,
შტრეზემანია:

ეცლება ხელით საქმე, ზღვაზე
აყირავებულს,
თავს ვერ უმაგრებს ვირთხათა ჯოგს,
დაჭირავებულს...

დასტოვეს თვისი ტკბილეულით
სავსე ბელელი,
თავს წამოადგათ რა მეშვიდე
წითელი წელი...

მეშვიდე წელი!
სალამი წრფელი!
სალამი ძმური,
კომუნისტური,
წითელ კომინტერს!
გაუჭირდა მტერს
მისი აღება
და გალაღება
ჩვენი ძალების
მას ევალების!..
მეფის ვალების
შესთხზა „ატკაზი“!
განაგრძოს ხაზი
საბ-რე-კავ-ცაკმა!
მან შინ ალაგმა
ბურჟუაზია...
მისდევს აზია
და ძველს ევროპას
აჭერენ კნოპკას!
ურტყამენ უროს...
მას მეთაურობს
მძლე კომპარტია,
ენა სხარტია,
მიმოხრა, სწრაფი...
და ბრძოლის დაფი
წითელ არმიას,
მძლეს და საქმიანს
ახმავებული
მიდის კრებული
პროფკავშირების,
შრომის გმირების,
ბრძოლით ბრძანების
ვეტერანების...
და მარშიროვით,
კომკავშიროვით,
აურზაურით

წინსვლა ზღვაური
გაძალიანდა!
შესდგა ლიანდაგს
სიმძიმით, დინჯით,
და მძლე ნაბიჯით
განაგრძობს ტრიალს,
დიდ ინდუსტრიას
რაც კი აქვს თვლები,
და ხრახნილები...
ეს მოძრაობა,
ჩვენი რაობა,
საქმიანობა
და ჩვენი ცნობა
ასე მტკიცდება
უკვე მწიფდება
იქ **ევროპაში,**
სად „რკინის რაში“
აწყვეტილია,
დაწყვეტილია
ბორკილ-ხუნდები:
არწივთ გუნდები
ცაში მყიფიანი...
კბილი, მტკივანი
ამოვარდება
და გატარდება,
გასაბჭოება!..
ჰმართავს დროება
და პარლამენტი,
ნამყოს ცემენტი,
ყველგან დაირღვა,
და გამოირკვა,
რომ მართალია
„ბრძოლის ფალია“!..

საბაჟოდან—საიქიოში

გუშინ წინ საიქიოში დასახლებული პო-
ეტების მიერ მივიღე დეპეშები, და ტელე-
ფონაგრამები.

დღეს კი, ტენიკის განვითარების თანა-
ხმად, პირდაპირი მავთულით ველაპარაკები
მათ.

სრულ ანგარიშს ურდვენ ამბ. ნიანგს.

მე—(მავთულთან) ამხანაგო აკაკი! ამხანა-
გო აკაკი, აკაკი მეტქი?...
აკაკი—ჰო!

მე—აკაკი ხარ?
აკაკი—მე ვარ.

მე—კაცო, როგორც დეპეშებიდან სჩანს,
შენ მე მეძახოდი, რაშია საქმე?

აკაკი—დიხს! მე გეძახოდი, ჩემო ძველო
ბატონო, დუტუ!..

მე—რაშია, ამხანაგო, საქმე?

აკაკი—ამხანაგო! (უსიამოვნოთ) ეს რა
ხათაბალაა—ხო... მითხარი, დუტუ, გეთა-
ყვა! როგორ მიდის მაქ მწერლობის საქმე?
დიდი ხანია, რაც ჩვენ მიგატოვით, რას
შვრებიან ჩვენი მაშინდელი ახალგაზრდა
პოეტები: ნ. ზომლეთელი. ს. აბაშელი, ვ.
რუხაძე, ობოლი მუშა, ს. შანშიაშვილი და
სხვები?

მე—ჰმ, ამხანაგო აკაკი! მაგის გადმოცე-
მა იმდენათ ადვილია, რამდენათაც ძნელი,
მაგრამ მე მაინც შევეცდებით გადმოქცე. ნ.
ზომლეთელის ახალგაზრდობაზე რა მოგახ-
სენო, მას უკვე აქა იქ თეთრი უთამაშებს
ბლანქეში. მუშაობით კი ისე მუშაობს, რომ
არ ასვენებს არც ერთ გაზეთს, მისი ფსევ-
დონომი ბევრია, მაგრამ ამ ბოლოდროს
ძლიერ შეუყვარდა ბაყაყი და ხარი.



ნიანგი თავის სამუშაო კაბინეტში.

რაც შეეხება ს. აბაშელს, მას ჯერჯერობით არ აქვს დრო. განათლების კომისარიიდან აბაშაში ეზიდება ბროშურებს, რომ თავისი მეზობლები განავითაროს.

ობოლი მუშის ფსევდონომი, აკაკი თუ ძმა ხარ, მაქაც შეცვალეთ ს. თავაძეთ, რადგან რუხაძესთან ერთად, ჩვენ გვერდი აგვიხვეს: გავარდნილ გაქვეულებზე წერით დარჩენილ გულმოდგინე მუშაებს გულს უტრუებენ.

მიზეზი გამოურკვეველია.

ს. შანშიაშვილმა ამ ბოლო დროს განიზრახა პროლეტარულ პოეზიის გაბითურება მაგრამ კრეზი ლენინში ჩაუვარდა.

აკაკი, აკაკი...

— უკაცრავად, აკაკის გული წაუვიდა და ვერ ლაპარაკობს.

მე—შენ ვინ ხარ?

— ნიკოლოზ ბარათაშვილი!

მე—ნიკოლოზ!.. (წყნარად და მორცხვად) უკაცრავად, მე შენ არ მიცნობ, მაგრამ გაგეცნობი: მე გახლავარ ნეტარ ხსენებული სააქაოს მწერალი, დუტუ

ბარათაშვილი—(მოვრალია) მე ნიხოლოზი ვარ.

მითხარ, ჩემო კარგო! ჩემს პოეზიას თუ ყავს ვინმე მიმდევარი?

მე—მიმდევარი? მიმდევარი კი არა, გეტყვით: გაუსწრო კიდეც შენს შავს მერანს და თავისი „ლურჯა ცხენებით“ ყაზბეგზე ავიდა, დღესაც იქ იმყოფება და, თუ დაბრუნდა, გაცნობებ.

ბარათაშვილი—(თავისთვის) რა ტყულებრალთ ვტიროდი თურმე საიქიოში ამდენხანს! რომც არ მეტირა, მეგვიდრე მაინც გამიჩნდებოდა, თუმცა არ შემრჩებოდა კი... — ცენტრალნაია!..

ცენტრალნაია!..

რა ჯანაბაა, კაცო! პასუხს რომ არვინ მძლევს.

ცენტრალნაია!—(ქალის ხმა)

გატოვია!..

მე—რის გატოვია...

სად წავიდა ბარათაშვილი?

ცენტრალნაია—ხა! ხა! ხა!

მას შენთვის სად სცალია:

აქ სულ ქეიფობს, იცინის, ცეკვავს, ის ეხლა სამხედრო სამსახურშია, ფეხები უკვე მოუტრია, ჩინებით დაწინაურდა, უკვე კაპიტანია.

დღეს ვაჟამ დაპატიჟა ვახშმად და უსათუოდ იქ წავიდოდა.

მე—ვაჟამ დაპატიჟა? ვაჟა, ჩემი ვაჟა..

უკაცრავად, ცენტრალნაია?

გადაეცით ვაჟას, რომ მე ძალიან მსურს მასთან ლაპარაკი.

ცენტრალნაია!?

ცენტ... ..

ხმა—რომელი ცენტრადე ბრძანდებით?

მე—რომელი? აი ყველას სატირალს რომ სტირის.

გადაეცით ვაჟას, რომ ხვალ უსათუოდ მნახოს ტელეფონში. უსათუოდ, გესმით!!

უსსსს!.. ..

ბრრ... ..

შ.

II-საპროფესიო გადასახადი.

„მოიტანე ჯამაგირი?“ შეეკითხა ცოლი თავის ქმარს— რომელიც დაღალული შემოვიდა ოთახში და უიმედოთ და-ეშვა სკამზე.

„დიახ, მოვიტანე! აჰა!“ და გადასცა თავის ცოლს ხუთმეტრი მილიონი მანეთი.

„ეგ არის სულ? დანარჩენი?“

„დანარჩენი? საქველმოქმედო საქმეებში წავიდა!“ თავი იმართლა მან.

„როგორ თუ საქველმოქმედო საქმეში! სთქვი გარკვევით!“ უყვიროდა მოთმინებიდან გამოსული ცოლი.

— დედაკაცო, ყურიდან ბამბა გამოიღე და მომისმინე: სამი პროცენტი—ლარიბ ბავშვებისთვის დამიკავეს ჯამაგირიდან, ორი პროცენტი—საქერო ფლოტისთვის, ოთხი პროცენტი იაპონიის პროლეტარიატისათვის, ერთი პროცენტი—კანადაში დაზარალებულ ხალხისთვის, ორი პროცენტი—კავშირის ჟურნალისთვის, ერთი პროცენტი—გაზეთისთვის, ერთი პროცენტი—ქალების ჟურნალისთვის, ოთხი პროცენტი—პროფკავშირისთვის, თექვსმეტი პროცენტი—დაზღვეულ კასისთვის...

„ალარ გაათავებ?!“ შეჰყვირა ცოლმა, რომელსაც თითქმის გული უღონდებოდა, „არა, ჯერ სად ხარ! ჩვენმა კავშირმა შეფობა აიღო ხუთ სოფელზე და იმათ სასარგებლოდაც დამიკავეს პროცენტები“...

მაგრამ ცოლმა შეაწყვეტინა. სიბრაზისაგან ხელში დაჭმუჭენილი ფული შიგ შუბლში სთხლიშა თავის უხვ-გამცემ ქმარს. ბავშვები კი კარებთან ატუხულებდნენ მწარედ სტიროდნენ.

ჟურნალისტი.



საზოგადოებრივი ფიქარი*)

როგორ ჩუმად და პარვით მიდის ეს შემოდგომა; აწი მალე მოგველის ზამთრის კარზე მოდგომა. ქუჩაში ქარი დაქრის... დაგვხეტები მარტო, შავ ფიქრებზე მაყენებს ბალი საკომენდანტოს. უწინ მისი შეხედვით ერთობოდა კაცია, რუსთაველზე თამბაქოს და ყვავილთ პლანტაცია. ეხლა კი... მაგრამ ვცდილობ არ ვიფიქრო ამზე, რა დროს ყვავილებია და ბალის ხილამაზე, როცა ეგერ უქურქოდ დგას კანონის დამცველი, ო, მას, ალბად, აფიქრებს საზამთრო ტანსაცმელი!.. ფიქრობს, თუ კი ზაფხულში საზამთროდ გამოგვაწყვეს, (ალბად სიცხე ზედმეტი როდი მოგვეკლავს, ან გვაწყენს). და თუ კიდეც საზამთროდ დაგვპირდენ საზაფხულოს, (სიგრილე ტანს ამარგებს თან კუჭიც თუ მარხულობს), მაშინ, ალბად, მისში მოგვეცემა ქურქები, როცა უკან გვექნება თოვლი და ქარბუქები... ასე ფიქრობს გუშაგი, თან ქუჩას აკვირდება, სიცივისგან თვალეზე რული არ ეკიდება. ეგერ კიდეც ვილაყა ძველი შარფით ყურებზე მიდის და მიოცნებობს შემით სავსე ურემზე... მოსიერნე წყვილ კი სხვა რამ უწუხებთ თავსა, ველარ მიაშურებენ მამა-დავითის მთასა... და სადღაც სქელ ობობას გაუშლია დავთარი, ფიქრობს: რამდენს მოუტანს მომავალი ზამთარი...

სინემატო.

ალათი და მართა.

— დილა მშვიდობის, ალათი:
— ღმერთმა გაცოცხლოს, ჩემო მართა!
— სეით მიეჩქარები, ქალო, ასე იალონში?
— ნულარ მკითხავ, ჩემო მართა, შენი ჭირიმე! აგერ ორი კვირეა, ხეირიანი ძილი არ მაქ. ამ დილას ცოფიანსათვით წამუარდი ზედ და მიგრბივარ პარასკეობაზე.
— რა იყო, ქალო, რა დაგემართა, არ იტყვი?

— რა იყო და ჩემმა ბიჭმა ნიკოლოზამ წეიკითხა რაცხა ლიანლია იმაში, რომ ვინ-

*) იგულისხმება ზამთარი და არა საზამთრო.

ცხა ეშმაკის წასაღები დოხტური გამოჩენი-
ლა, ხირიწიანიაო, თუ რაცხა მისი დაღუპვა,
და ბერიკაცებს აახალგაზდავებსო. გეიგონა
თუ არა აგი ჩემმა ესიკელამ, აღარ მომა-
სვენა: „წავალ, ქალო, იმ დოხტურთან და
ამ სიბერის დროს ძალას შევიმატე-
ბო!“ კაი დაგემართოს, ჩემო მართა, კაია
მაგია, მარა მერე იგი მე მომეკარება? არ
შეგჭამოს ჭირმა იმისაგან უფრო! მოძებნის
ვინცხას, გადაეკიდება და შენი ალათივი
ფეხებზე ეკიდება! ახლა მიგრბივარ პარას-
კეობაში, — იქნება ვინცხამ გამაგებოს, ეგე-

ბა, რომ ამფერი გაახალგაზდავება ქალებ-
საც შეუძლიათ და მაშვინ ჩემ ესიკელას მეც
ავეტორღილები.

კი მარა, ბეჩა, რავაც მითხრენ, ქალებს
თურმე ხელს გვიშლის (ყურში ეტყვის)... უი-
მისოდ თურმე არ შეიძლება!

— მაგი მეც ქე ვიფიქრე, მარა მაინც წა-
ვალ, ნახვამდის, ჩემო მართა!

— ღმერთმა მშვიდობის ნგზავრობა მოგ-
ცეს, ჩემო ალათი! რომ დაბრუნდე, თუ ქა-
ლი ხარ, მეც მახარე, თუ კაი რამე შეიტყო!..
ბოდილა.

ჭრიჭინები და ჭიანჭველა.

(იგავისებური)

„გურიაში ამ ბოლო ხანებში შემოვიდა ახალი მოდა: თითქმის ყველა სოფლებში,
ცეკვას სწავლობენ ახალგაზდა ქალები და ვაჟები“.

(კერძო წერილიდან)



დაცეკვაობდნენ, დახტოდნენ
ჭრიჭინობლები ამ მხარეს
და უშრომ-უზრუნველობით
ზაფხული გამოატარეს.

წვიმა, ქარ-ბუქმა ზამთრის პირს
კარებზე მოაკაკუნეს,
დაფიქრდნენ მოცეკვავენი,
დარდით ძირს თავი დაღუნეს.
გაჭქრა იგი დრო, როდესაც
ყოველგან დროს ატარებდნენ,
ცა ქუდათ აღარ გიაჩნდათ,
მიწას ფეხს არ აკარებდნენ.
ან კი რალა დროს ღზენაა
და ცეკვა ჭიანჭურითა,
მშიერ კუჭს ვერ იპურებენ
მჭადით და ნიახურითა.

კარზე მიადგნენ ჭინჭველას
ვედრებით: „ჩვენო ნათლია!
ნუ დაგვხოც გაზაფხულამდე
და გამოგვეკვებე, მაღლია!“
ჭინჭველამ ჰკითხა: „ზაფხული
როგორღა გაატარეთო?“

„ცეკვას ვსწავლობდით, გეთაყვა,
ბუქნას ვუვლიდით ცხარეთო!“

„ცეკვას სწავლობდით? კეთილი,
დინჯათ მიუგო ჭინჭველამ,
მაშ, ეხლა მდერაც ისწავლეთ,
მწკრივით დასხედით სუყველამ!“.



შპიკურბი.

მგოსანი და ბედნიერება.

(ზღაპარი: „მეფე და პერანგი“-სებურად)

მგოსნის ბედნიერება ჯერ ქვეყნად არვის
სმენია, რადგან სამგოსნო ბედნიერება მო-
თავსებულია კდემამოსილებაში, ხოლო ცნო
ბილია (ცისფერ ყანწებისაგან), რომ თავის
მხრით კდემამოსილება არასოდეს არ თავსდე-
ბა მგოსნის ბუნებაში. ქვეყნიერებაზე აღმოჩ-
ნდა ძლივს ერთი ბედნიერი მგოსანი გაზეთ:
„რუბიკონში“ (№ 16) ქუჩური ლანძღვის დამ-
წერი „ორიონზე“ (ალსანიშნავია, რომ „უბა-
დლო მოპოვებშიკე-მტიკემ“ თითქმის ვარ-
სკელავთ მრიცხველისებური პათოსით იწი-
ნასწარმეტყველა გაზ. „ორიონის“ ხვედრი).
დიახ, ძლივს აღმოჩნდა ეს ერთი, „კდემამო-
სილებით“ უხვად დაჯილდოვებული მგოსანი,
მაგრამ ამ ერთსაც კი ეს „საკუთარი კდემა-
მოსილება“ თავისთვის არ ემეტება, არამედ
სხვებისთვის, უმისამართოთ. ეს თითქმის ისე,
როგორც ზღაპარში: „მეფე და პერანგი“
არის მოხსენებული, თუ ჯერ როგორ გასჭირ-
და ქვეყნად ბედნიერის პოვნა, ხოლო როცა
იხილეს, მას ტანზე პერანგიც აღარ აღმო-
აჩნდა.

ქ რ მ ნ ი კ ა.

— მუშკორებმა უკანასკნელ კრებაზე და-
ადგინეს: სალანძღავი წერილები მოათავსონ
გაზეთ „რამოჩაია პრავდაში“, ხოლო საჭეპი
კი—„ზარია ვასტოკაში“.

— ქართულ სცენაზე ქართველი მსახიო-
ბი დაიკარგა. მიღებულია ზომები მის მო-
სახიზავათ.

— ჰერცელ ბაზოვს სურს ჩაეწეროს სო-
ციალისტების პარტიაში, მხოლოდ სიონის-
ტებს კი დაუბრუნოს „ოცდაათი ვერცხლი“

— მთავარი სამხატვრო კომიტეტი ლე-
ტარგიის ძილს მიეცა. მწერლების მიერ მი-
ტანილი ნაწარმოებები გადაეგზავნება ხო-
ლმე მუზეუმს „საუკუნო განძეულად“.

— სახალხო სახლში ქართულ დრამატიულ
დასში ირიცხება 70 „მსახიობი“. განზრა-
ხულია, 100-დე აიყვანონ, რათა იერიში მი-
იტანონ რუსთველის თეატრზე.

„რას არ გერბება, არს შეგრიება“.

(ნაწყვეტი კონტრ-რევოლუციის ტრაგედიიდან)

მოკმედნი პირნი:

ყოფილი ბოქაული.
მისი თანამემწე.
მამა ოქროპირე.
ნიკოლოზის ლანდი.
I „გარადავი“
II „
ონისიმიე.
ნიანგი.

მოკმედება სწარმოებს 6 ნომბრის ღამეს (ახალი სტილით)
მკრთალად განათებული ოთახი. მაგიდასთან ზის ყოფილი
ბოქაული და მამა ოქროპირე. გარედან ისმის ახალგაზრდების
ქრიაშული, ინტერნაციონალის მღერა, შუშუნების ტკაცუნა
და სხვ.

ბოქაული. გესმის, მამაო?!

მ. ოქროპ. როგორ არ მესმის... მათი ლხინი, მათი ყიჟინი,
ხედება ამ ჩემს გულს დაღონებულს ვითარცა ტყვია...
იქ იმღერებან. იცინებან, მე კი მგონია,
თითქოს გარშემო. დაბურული, უვალა ტყეა.
მივდივარ ასე, და არც ვიცი საით მივდივარ...
ამ წყეულ ღამეს შესრულდება ექვსი წელია...
რა მოკლე დროა, საუკუნედ კი მეჩვენება,
როგორ უდროოდ გამითეთრდა თმა და წვევრია...

ბოქაული. (თავისთვის).

სულ იმედები... იმედები... სხვა არაფერი...
ყოველ ახალ დღეს ვეგებები ახალ იმედით...
მითხარ, მამაო, როგორ ფიქრობ იქნება რამე,
თუ უკანასკნელ საზღვრებამდის უკვე მივედით.
მითხარ, როდემდის უნდა ვიყოთ ასეთს ყოფაში,
რას გვეუბნება სახარება მარკოზ—ლუკასი,
ხომ არაფერი ნიშნება შიგ მომავალზე,
ან და ზევიდან ხომ არ არის რამე „უკაზი“?...

მ. ოქროპ. ამის შესახებ მე მინდოდა თქვენთვის მეკითხა,
ვის დავეუჯერო, ეს ჭორები ასე ჭრელია...
სახარება კი ვილას ახსოვს, შე დალოცვილო,
წელიწადია საცეცხლური ხელს არ მჭერია.
სანამ ტაძარში ყოველ კვირას დავეთროდი,
მე ვერ ვხედავდი ბეწვის ოდენს თუნდაც სიკეთეს:
ბებრუტუნებიც კი საყდრებში აღარ დადიან,
მერე ტაძრებიც, გეხსომება, როგორ მიკეტეს...

ბოქ.

მ. ოქროპ. მერე როგორღა გსურს ირჩინო თავი შემდეგში?...
ამდენხანს კიდევ გაჭირვებით გამქონდა თავი,
აწ ჩემი შემწე და მფარველი იქნება ცა-და;
მორწმუნე ტოტა მინახავდა, მაჭმევ-მმოსავი,
წასულ ხანებში იმანც კარში გამომიძახა.
მას აქეთ ფიქრობ, სად წავიდე, ვის მივაშურო?...
ამდენ წამებით მდინარენი რად არ შრებინა?...
ოი, უფალო, ნუ შეუნდობ ჩემს მტრებს ამ ტანჯვას,
რამეთუ იმათ არ იციან, რასაც შვებიან...

ბოქაული. (თავს გააქნევს სიმწარისაგან).

მახლას, როგორი დრო დავკარგეთ, რას მოვესწარი?
რამდენმა წლებმა ჩაიარეს, მაინც არ მჯერა,
ნუთუ საფლავში ისე ჩავალ გულ დაწყვეტილი,
ერთხელ იმათზე გული მაინც რომ ვერ ვიჯერო?...
მ. ოქროპ. დამშვიდდი, შვილო, გულს ნუ იტებს ტყვილა დარ-
დებით.

დიდია ღმერთი და მოწყალე მისია ხელი,
გქონდეს იმედი მოთმინება და დამერწმუნე,
მალე გავხდებით ძველი დროის ისევ მნახელი.

ბოქაული. (უჩვენებს კედელზე).

აი, იქ იყო დაკიდული საწყალობელი,
ჩვენი პატრონი, ჩვენი შემწე, ჩვენი მფლობელი...

მ. ოქროპ. მალე მოვა დრო, როცა ისევ იქ ეკიდება...

(ამ დროს კედელზე თითქოს რაღაც ბურუსი ჩნდება
და ამ ბურუსიდან იკვეთება შარავანდედით მოსილი
ნიკოლოზის სახე. მღვდელი და ბოქაული ზეზე წა-
მოიჭრებიან და შიშით მიჩერებიან მოჩვენებას).

ბოქაული. ამ შვალამზე ვინ მოსულხარ... ვინ ხარ... რა გინდა?...
ეშმაკისაგან ხარ მოგზავნილი, ან თუ ხარ ციდან?!

მ. ოქროპ. (წაავლებს ხელს ჯვარზე).
გაფიცე ამ ჯვარს, მოვლენილო უცნობო ლანდო,
ვინ წარმოგზავნა და სთქვი მალე რაც უნდა გვანდო?!

ნიკოლოზის

ლანდი. — ჩემო ყოფილო ქვეშევრდომო,
ცუდ ზრახვებისთვის არ ვარ მოსული,
ნუ გამიწყრებით, თუ რომ შეგაკრთეთ,
ვარ ნიკოლოზის ტანჯული სული.
ამ უსაშინელ ჩემთვის ღამეში,
გაგიზიაროთ მინდა დარდები,
ათჯერ წმინდანად რომ მიმიჩნიოთ,
მე მაინც ველარ გადაგვარდები.
გეტყვით მოჭრილად... ხანი მაქვს ცოტა,
უნდა გავბრუნდე უკანვე მალე,
გზაში შუშუნებს თუ გადავურჩი,
კომსომოლისტებს თუ დავემაღლე...
ძლიერ ცუდ ბედში ვარ, მეგობრებო,
ოდესღაც მეფე დიდი, ამაყი,
იმას გთხოვთ ეხლა საიქიოში
გამომიგზავნოთ იქნებ არაყი.
არ შემიძლია მეტი მოთმენა,
მომსპობს, დამადნობს უიმისობა,
უარაყოფას მე მირჩენია
გულზე წვეტიან ეკალის სობა...

(გადმოცვინდება ცრემლები)

აწი მშვიდობით!... იქ შევთხოვ უფალს,
თქვენზე წყალობა მოიღოს უხვად...
შენაპირები არ დაგავიწყდეთ,
ჩემ კეთილ ხსოვნის ერთგული თუ ხარო.

ბოქ. და მოქ. (ერთად) ნუ წახვალთ, თქვენო...

(მოჩვენება სასოწარკვეთით ჩააქნევს ხელს და
გაქრება).

მ. ოქროპ. წავიდა... გაჰქრა... მოჩვენება ვიხილე მართლა,
თუ მომატყვილეს მე ამ ბინდში თვალებმა, გრძნობამ...

ბოქაული. ენის დაძვრაც კი ვერ ვაგებდე, ისე შევშინდი,
იქნებ მოეცა მომავალზე რაიმე ცნობა...

მ. ოქროპ. რაც, იყო, იყო, აწ ვერაფერს გამოვასწორებთ...
ასეთი საქმე სიცოცხლეში არ შემხვედრია...
მე მეფის სულის საცხონებლად ვიხდი პანაშვიდს,
არაყზე ზრუნვა, ბოქაულო, თქვენი ხვედრია...

ბოქაული. (ექვსის თვალთ უტყერის მღვდელს).
ყოფილი მეფე მდიდარია ბევრ სხვა მონებით.
არაყს მეც ეხლა გადავკრავდი სიამოვნებით...

(ისევ მაგიდას მოუსხედებიან და ძიეცემიან თავთავიანთ ფიქრებს.
რამოდენიმე ხანი სიჩუმეა. უცბად უცნაური ამბავი ხდება.
შუშუნების ტკაცუნს შეცვლის ზარების რეკა. ოთახში სინათლე
მატულობს. უკვე სულ სხვა მორთულობაა. თავის ადგილას
კიდია ნიკოლოზის სურათიც. ბოქაული თავის ფორმაშია გამო-
წყობილი და გულს მენდლები უმშვენებს. ვერც ის და ვერც
მამა ოქროპირე ჯერჯერობით ვერაფერს ამჩნევენ, შემდეგ,
ალბად, ზარების რეკა ჩამოესმებათ ყურში და გამოერკვევიან.
სახეზე განცვიფრება ეტყობათ, რომელიც მალე ქრება).

ბოქაული. ამას რას ვხედავ?... ეს ხომ ჩემი კაბინეტია...

მ. ოქროპ. კვლავ ძველებურად ფორმაში ხარო გამოწყობილი...

ბოქაული. ნიკოლოზიც კი თავის ადგილს დაბრუნებულა...
ხედავ, მამაო, დავგებრუნდა ისევ ძველი დრო...

მ. ოქროპ. მაშ, რა გეგონა?!
რას ნიშნავს რეკა ზარებისა ამ შვალამზე?!



ბოქაული. ეხლავ გავიგებთ...

ეი, მაქ არავინა ხართ?!

(შემოვა ორი „გარდავოი“)

I გარ. რას გვიბრძანებ, თქვენო აღმ...

ბოქაული. ხარებს რად რეკენ?!..

I გარ. აღდგომა არის, თქვენო აღმ...

მ. ოქროზ. (ჯერ გაშტერებულია, შემდეგ ბრაზით)

აღდგომა არის?... ბრიყვო, სულელო,

მერე აქამდის რად არ სთქვი... რად... რად?..

ეს სხვებისათვის ჭკუის სასწავლად,

გთხოვთ, ბოქაულო, დასაჯოთ მკაცრად!..

ბოქაული. იქნებ გეძინა... სიზმრად რა ნახე?.. (II „გარდავოის“)

წაიყვანე და გაამათრახე!..

II გარ. მესმის, ბატონო... (გადიან).

ბოქაული. (სიხარულით იქით-აქეთ დადის)

მაშ, შემოძლია აწი მათზე მოვიკლა ჟინი?!.

მ. ოქროზ. (რალაც ფაცა-ფუცია)

დამავიანდა... სად წავიდა, ღმერთო, ხურჯინი?..

(ბოლოს მონახავს და გადაიგდებს მხარზე)

ბოქაული. აწი მე ვიცი...

მ. ოქროზ. თუკი აქამდის ჩვენ გვაძრობდენ სულს სხეულიდან,

ცხარე ცრემლებმა მათ თვალთავან აწი იდინოს...

მე ეკლესიას მივაშურებ, რადგანაც ვშიშობ,

იქ დიაკვანმა ცული რამე არ ჩაიდინოს.

(გადის. შემოდის ბოქაულის თანაშემწე).

ბოქაული. რა ამბავია დღეს ქალაქში?

თანაშემწე. სრული სიმშვიდე...

კომუნისტების ჭაჭანებაც აღარსად არის,

დახოცილთათვის არვინაა მთხრელი სამარის!..

ბოქაული. ეყარონ ისე, საჩვენებლად ახალ თაობის,

რომ გულთ ჩაუჯდეთ მორიდება, შიში მთავრობის..

ამ საღამოზე ხომ არავინ დაგიჭერიათ?

თანაშემწე. იმ შენობაში, სადაც იყო უწინ „რაბკრინი“,

რომლით პურს სჭამდა ტრიბუნალი, დაუცხრომელი,

„გარდავოებს“ ვილაც კაცი დაუჭერიათ

და მასთან ერთად საშინელი რალაც ცხოველი.

როდესაც ეთქვათ, წამოგყვეთ პოლიციაში,

კაცს ეპასუხნა: არ წამოვალ იქ ნებით მეო.

ეს ამხანაგი ნიანგია, თუ ვსურთ იცნობდეთ,

მე კი გახლავართ ამხანაგი—ონისიმეო.

გარდავოებს ამის შემდეგ ეხმარათ ძალა,

და იერიში მიეტანათ საზარ ცხოველზე,

კაცმაც იშიშვლა თურმე რალაც კალმისმაგვარი,

ჩვენს მხრიდან ბევრი დაცემულა იმ ბრძოლის ველზე.

ბოლოს ჩვენებმა, როგორც იქნა, დასძლიეს იმათ,

თოკით გაკრულნი ეს-ეს არის წარმოგვიდგინეს,

როგორ მოვიქცე და რა ვუყო, ბატონო, მე მათ?..

ბოქაული. ორივე ეხლავ აქ მომგვარე, მსურს მათი ნახვა,

ვინ მოიგონოს, მათ რომ ელის სასჯელი მეტი,

სად არის ეხლა ჩვენი მღვდელი, მამა ოქროპირ,

რომ ერთი დატკბეს გაბაწრული ონისიმეთი.

(თანაშემწე გადის ცოტა ხნის შემდეგ შემოყავთ გაქაჩული ნი-

ანგი და ონისიმე. პირველს პირი შეკრული აქვს).

ბოქაული. (ირონიით) ჰაა... მობრძანდით!..

სალამი ნიანგს და ონისიმეს...

როგორ ბრძანდებით,

ხომ არაფერი უწყენია თქვენთვის იქ ვინმეს?

ონისიმე. (ფიქრში) ნუთუ ცხადია ეს ყველაფერი,

თუ სიზმარში ვარ?... ვერ გამიგია!..

ბოქაული. პასუხი მომეც, როგორც რიგია;

იქნება, ძილში გვონია თავი?..

თანაშემწე. ვაი, რა ცუდით გათავდება მისთვის ეს ძილი..

ბოქაული. ონისიმე ჩემო, ნუ დამალავთ, იქნება გშიათ,

მე ყოველგვარად შევეცდები გაუმასპინძლდე

შესაფერისად სტუმარს ასე ძვირფასს, იშვიათს...

ონისიმე. (ისევე ფიქრში).

გუშინ ოქტომბრის უქმისათვის ვემზადებოდი,

და როდის მოხდა ეს ამბავი... ოხ, როდის... როდის?

ბოქაული. იმეღია, რომ არ გვითაკილებთ,

და ვარს არ გვეტყვით ჩვენს ღვინო-პურზე... (თანა-

შემწეს).

ეხლავ ნიანგი წაიყვანა ჩქარა

და წამოაგეთ ცოცხლათ შამფურზე!..

(ნიანგს გარდავოები დაეხვევიან და გაათრევენ. ონისიმე მიი-

წევ-მოიწევს, მაგრამ ამოდ).

ონისიმე. ინანებთ შემდეგ... ის კი მოკვდება,

მაგრამ შეილება წამოეზრდება!..

(შემოდის მამა ოქროპირე. სახე ჩამოსტირის, ხელში ცარიელი

ხურჯინი უჭირავს).

მ. ოქროზ. რა ამბავია,

არ მჯერა, არა...

ღმერთო, რად მტანჯავ?

მეყოფა... კმარა!..

ბოქაული. რა დაგემართა, რა მოგივიდა?

მ. ოქროზ. ე... ნულარ მკითხავ,

მებეება ენა...

მარქვით, სულ ასე

მმართვეს მოთმენა?!..

ზღვა იმედებით

წაველ ტაძრისკენ,

როგორც სანატრელ

რამე განძისკენ,

გამოვიყვანე

საჩქაროდ წირვა,

სამაგიეროდ

კი რა მხვდა წილად?..

ტყვილად წავილე

ხურჯინი თანა,

არავის პასკა

არ მოეტანა;

და არც კვერცხები... (მიაგდებს ხურჯინს)

მე ვღვევარ... ველი... (მოიწმენდს ცრემლებს).

ბოლოს წამოველ

ხელცარიელი...

დღეს ხალხზე უფრო

შეატლენ მელას...

ბოქაული. ნუ გეშინია, ჩემო ოქროპირ,

მოვატანინებ ძალით სულ ყველას.

მ. ოქროზ. (შენიშნავს ონისიმეს) ეს ვინ ლა არის?

ბოქაული. (ეშმაკური ოიმილით) გიმზადებ სურპრიზს!..

(გასძახებს გარედ) მოიტათ ჩქარა!..

გარდავოებს შემოაქვთ შემწვარი ნიანგი, მაგიდაზე დადებენ

და გადიან).

მ. ოქროზ. აბა, სთქვი მალე... ყურს გიგდებ... გისმენ...

ბოქაული. ეს ნიანგია, ეს—ონისიმე!

მ. ოქროზ. (გახარებული მიიწევს ონისიმესაკენ. ირონიით).

თავს როგორ გრძნობ ეხლა,

ჩვენო ონისიმე,

მომავალში როგორ

ააჟღერებ სიმებს?..

ბოქაული. მაგას შემდეგ გაფუსწორდებით,

ჯერ კი შევაძლეთ ამ შემწვარ ნიანგს.

(შემოუსხდებიან მაგიდას. ბოქაული აიღებს დანას და სურს ნა-

ჭერის ჩამოჭრა. მაგრამ უცბად ნიანგი შეინძრევა და ფეხქვეშ

მოიგდებს ორივეს).

ნიანგი. ეხლა კი მოვიდა

თქვენი აღსასრული,

აწ აღარ იქნებით

ასე თავგასული!..

(უნდა ჭამას შეუდგეს. ამ დროს სინათლე კლებულობს. ნიანგი

და ონისიმე ქრებიან და ოთახიც ღებულობს თავის პირ-

ვანდელ სახეს. მაგიდასთან დგანან თავზარდაცემული ბოქაული

და მ. ოქროპირე.

მ. ოქროზ. ღმერთო, ეს რა ნახეს ჩემმა თვალებმა?

ბოქაული. (შეგებით) მადლობა უფალს: ყველაფერი იყო ზმა-

ნება!..

სინემატო.

შენიშვნა ონისიმის.

გაგინმა ენა, სინემატო,
დამწერო ამის!
გულზე გახეთქე შიშისგან
ნიაგო, ლამის,
მაღა მოუსპე, გესმის, მაღა
სმისა და ჭამის?!

და რომ არ იყვეს ის მიმღები
სხვა ტელეგრაფის,
სადაც ცნობა არს ნიანგისთვის
უარეს დრამის,
მაშინ, გარწმუნებ, გასაქცევად,
მომსწრე ამ წამის,
თვითონაც მალე შეარჩევდა
სიბნელის ღამის!..

მაშ, გაიხარე: ეგ სიზმარი,
საბედისწერო,
თითქოს აგიხდა, სინემატო,
ნიანგის მტერო!..

ონისიმე.



დეკემბერი.

ხეთა. მრავალი სხდომების და თათბირის შემდეგ, ხეთის „პარლამენტმა“ 16 სექტემბერს გადააყენა „მთავრობის კაბინეთი“, მიუხედავად იმისა, რომ გადაყენების შემდეგ, თვით განაცხადეს სურვილი გადადგომაზე. შედგენილია ახალი „კაბინეთი“, რომელშიდაც შედიან სოციალისტები. ყოფილი „მთავრობის თავმჯდომარე“—ლ. გოგიას აზრით, „ახალი კაბინეთი ვერ შესძლებს მუშაობას, რადგან დარწმუნებულია, რომ მის გარდა სათავმჯდომარო კაცი ხეთაში არ მოიპოვება.

იქიდანვე:

მოწინავე წრეების აზრით, „მთავრობის კაბინეთის“ შეცვლა გამოწვეულია მით, რომ თავმჯდომარე—გოგია ადგა ყოფილ ერობის გამგეობის თავმჯდომარე მენშევიკ ტურავას ტაქტიკას, რამაც დაამარცხა როგორც ტურავა, ისე მისი მიმდევარი-გოგია.

სამტრედია: ამ დღეებში დაიკარგა გზის შენობათა ზედამხედველი ქ-ძე. ფიცხელი ზომები იყო მიღებული მოსაძებნათ. რკინის გზის ფარგლებში მცხოვრები ცხრაას სამოცდაათთხმეტი ღრუტუნები ბეჯითად სჭოქნიდნენ არემარეს, მაგრამ ამაოთ. დიდი ჩხრეკის შემდეგ, გასინჯული იქნა სამიკიტნოების სამას ოთხმოცდათხმეტი რუმბები. სწორეთ უკანასკნელიდან გადმოგორდა დაკარგული, რომელმაც საყვედური განაცხადა პოვნისთვის.

ოზურგეთი ვინაიდან ოზურგეთის ხაზინის ხაზინადარმა მამონტი გიორგევიჩმა ხაზინის ქვე განყოფილებები სამიკიტნო-რესტორნებში გადაიტანა და რადგან ყოველ დღე უწევს ყველა სამიკიტნოებში აპერაცია, გთხოვთ, ამხ. ნიანგო, აღძრათ შუამდგომლობა ფინსახკომის წინაშე მოემართოს მას ზედმეტ გასამჯელოსთვის ჯამაგირი 600%, რითაც მიეცემა საშვალეობა ღვინის და არაყის სიძვირებზე ხელი არ შეუშალოს

მის შეძენაში საკუთარ „სალაროში“ შესანახათ.

იქიდანვე:

მიწად მოქმედების განყოფილებაში მემანქანე ქალმა განიზრახა მოაწყოს თავის განყოფილებაში ჩულქის და წინდის საქსოვი სახელოსნო, ვინაიდან ეს „სხვა საქმეს“ ხელს არ უშლის, და კიდევ ენერგიულად შეუდგა ამ საქმის სისრულეში მოყვანას.

კორესპონდენციები.

(ზღაპარი ჯონჯუათის სიხამდვილიდან)

იყო სოფელი ჯონჯუათი. მას არ აკლდა სიმდიდრე, ყუათი და ერთგან, სადაც იდგა ხე დიდი მყოლისა, ჰქონდა აგებული შენობა შკოლისა. იყო ვინმე კოლია, მსგავსათ ესერისა, არა სწამდა რა ღობისა, არცა მესერისა, აპყვა, თუ აიყოლია მან კუთხე ეწერისა... დადგნენ გუნებაზე ბრძოლისა და განიზრახეს დანგრევა იმა შკოლისა, რადგან იმისი ეწერში ჩასკუპების ჰქონდათ სურვილი ბროლისა, გაუგეს განზრახვა ესე, ფილიდი, შესდგა ჯონჯუათის კრება დიდი, აქ იყო სამი თემი და კუთხე შვიდი. იმსჯელეს, დაადგინეს: სკოლა თავის ადგილზე დაარჩინეს, კოლია და ეწერი კი გაგვინაწყინეს... არც აცივესა, არც აცხელესა, მჯილში ჩაახველესა და შკოლას მაინც დაუბირეს „ელესა“...*) ნარკომპროსმა ამის შესახება არ დააყოვნა თავისი წარმომადგენლის ადგილობრივ ხლებს, რომელმაც აკრძალა სკოლისთვის ხელის ხება. მაგრამ კოლია ახტა-დახტა, მივიდან გან-განის სახლთან, თან ეწრელთა დეპუტატიც ახლდა და სთხოვა: გან-გან, მომეცი მან-

დატი, რომ მოვთხარო მთლად სოფელი ჯონჯუათი და გავიტაცო ეწერისკენ შკოლა მათი გან-განმაც არ დააყოვნა: კოლჩიკს მყის შეუსრულა თხოვნა, იქნებოდა დილის ცხრა საათი როგონა!.. და იმავე საღამოსა, ღამისა ბნელი როს ციღვან ჩამოეშვა, ეწრელთა ჯარი შეესია შკოლის ეზო—მიდამოსა. გაიგო ეს დანარჩენმა სოფელმა, ამ იდეის ერთხელ უკვე უარყოფელმა და სკოლის გარშემო იწყო თავის მოყრა მთელმა. შეიქნა ხელჩართული ბრძოლა, ეწრელებს ჭეშოში მოხვდა კაი მოყოლა და კუდამოძღებულნი გარბოდა კოლა. დროზე წამოეშველა ლანჩხუთის მილიცია, მან კოლას შენიშნა: „ჩემო ბიძია, ამას რომ ხალხს ართმევ, ჯერ მისთვის რა მიგიცია?!“ „ო, ცხონდა შენი მშობელი, რომ ასე მართლის ხარ მთხრობელი“, მილიციას ეტყოდა სოფელი, რომელიც კოლიეს გადამკიდე, ვინ იცის, რას მოელის კოდე.


მუხრუჭი.

ჩემს მარტვილს!

(ძღვანთ ნაოლაღევის აღმასკომს)
მოგესალმები, მარტვილო,
სოფელი მონასტრიანო,
ზოგან გაშლილო ველებო,
ხშირათ კი მთა—გორიანო.
იყო დრო, როცა პატრონათ
გყავდა მღვდელი და ბერები,
და ამშვენებდა შენს სახეს
იმათი გრძელი წვერები.
უფალსა ღმერთსა თვის კალთა
შენს ზურგზე დაუბერტყია:
ერთ სოფელს მწყემსათ მოგართვა,
მღვდელთ ბროვა, ოცზე მეტია;
რომ არ დამწამონ სიყალბე
არა სთქვან, რომ ეს ჭორია,
უფალმა ხუცებს უბოძა
თითოზე-თითო ჯორია,
და ეს ჯოროსანთ ლაშქარი

*) წაღება.

ზ რ დ ი ლ ო ბ ა



ა ბ ლ ა

გიქადდა აშენებასა
და შენც, სოფელო, როგორც ბრმა,
მისდევდი მათსა მცნებასა.
მაგრამ დღეს აღარსად ისმის
მათი სახე და ხსენება.
(რას იზამ, როცა თვით ხალხსა
ეს სურდა, ასე ენება!...)
მის ნაცვლათ ხალხი ფაცურობს
და გზას იკაფავს წინაო:
აქ შკოლას აგებს, იქ-თეატრს
მან მიუჩინა ბინაო,
ხიდსა აშენებს, ელექტრონს
მან ჩაუყარა ძირია,
აღარათ უჩანს, თუმცა ადგას
დროებით გასაჭირია,
მომავალს შესცქერს იმედით,
თავისუფლების შვილია.
(წვერ დაპარსული ხუცები
გზას სტკეპნის ათი წყვილია!)
წინ გასწი, თავისუფალო,
ბოროტად აყრილო სოფელო,
დღემდის მღვდლებისა საჯიჯგნო
და სიბნელეში მყოფელო.
ვაშა, შენ, ხალხის გულისთვის
ამდენი შრომის ამტანო!
ხალხის ურჩნი და ორგულნი
შენში არ გააჟაჟანო!...

ბოძოთელი.

სამტრედია.

ბოდიშს ვიხთი, რომ წერილი დავაგვიანე,
მაგრამ ყოველივე მოვლენას თავისი მიზე-
ზები აქვს.
დღიდან ჩემი არსებობისა ჩემს დანიშნუ-
ლებას ვასრულებ პირნათლად.
ყოველივე მუხლი წესდებისა ჩემს მიერ
არის უნაკლოთ დაცული, თუ არ მივიღებთ
მხედველობაში უმნიშვნელო მუშტ-კრების
მუხლს, რომელიც, რა თქმა უნდა, იქნება
განხორციელებული.
რაც შეეხება მუშების მოვალეობას, ეს
მუხლი სრულიად უნაკლოდ არის დაცული.
ვერც ერთ მუშას ჩემს „ფარგლებში“ შე-
მოსულს, ვერ ნახავთ, რომ ერთი წუთი უბ-

რალო ხეტიალში დრო დაკარგოს (თეატ-
რებში, ლექციებზე და სხვა), არამედ სხე-
დან სუფრაზე და შეეცქვიან წითელ ნუნუსს.
შეფიცულნი არიან ტიკტორებზე და რუმ-
ბებზე, რათა ოჯახში ბონები არ წაიღონ
და მოახმარონ ტიკტორ-რუმბებიზაციას.
გიგიენა რომ დაცული იქნას, ამ მიზ-
ნით ხანდახან ეტლით გაისეირნებენ მინ-
დორ-ველში. რადგან უკვე შემოდგომა არის
და ჩიტები აღარ ჭიკჭიკობენ, ამიტომ მა-
გიერობას არღანის ჭიკჭინით ასრულებენ.

კოდარა

ჩვენი ფოფა

შაქრო ნავთლ უღელს: თქვენ საპასუხოთ
მოგვყავს თქვენივე ლექსის ბოლო:

„ვამ შენს თავს, ვამ, ვამ!“
გ—ცს: „თუ ივარგებს დამიბეჭდე,
თვარა არსად გამამხილო,
ფოფაში თუ გამომჯაყე,
თვალს სადღა გავამხილო.
ახალგაზრდა კაცი ვარ და
არ შემეკადრო რამე ავი,
თვარ ივარგოს, არ დაგზარდეს,—
გორიცაში უკარ თავი.“
ვასრულებთ თქვენს უკანასკნელ თხოვნას,
თუმცა ძალიანი კი „დაგზარდით“ ამას.
შ—ს: „ეს ამბავი ნათქვამი, ნამდვილად
ნათარგმანები“—მეტად ცუდი ნათარგმნი.
აი თუნდაც ეს ტაეპი:

„თამარა, თამარა, თქვი ჩქარა,
თუ გიყვარს საქმე ხონური,
ვიციტ გაწუხებს ცანცარა,
აიჯან სიმღიდრის ბალი“.

ეფნუხარას:

„რისთვის მინდა მე სატირა,
იცი მუშა რას აპირებს?
სიტყვით ბევრი აატირა
და კალმითაც აატირებს.
როს უბინო, გავამწარო,
ჯერ პაწია, ჯერ პატარა,
გთხოვთ შენს ბრწყალს ქვეშ დამიდარო
სატირისტი — ეფნუხარა“.

გვწერთ თქვენ. შე კი კაცო, ჯერ არც
გაცინებული და არც ატირებული არავინ
გვინახავს—არც დიდი და არც პატარა—
თქვენი „მგესლავი მწარე ენით“ და ასე მა-

ლე ჩვენ გვთხოვთ თავშესაფარს,—ისიც მერე
სად—ბრწყალზე ქვეშ! ვამ, თუ სხვამ იცი-
ნოს და თქვენ კი ტირილი დაგჭირდეთ ასეთ
სახიფათო ალაგას!..

საგარეჯო, „ტურას“ მართალია, თქვენ
დიდი სამსახური გავგიწიეთ იმით, რომ წა-
სულ ნომრებში მენშევიკების პარტიის და-
შლის შესახებ რამდენიმე კარიკატურა და-
გვიმშვენეთ, მარა ეს კიდეც იმას არ ნიშ-
ნავს, რომ მუდმივი თანამშრომელი გახდეთ
„ნიანგში“.

თქვენი ლექსის სიტყვები:

„ბერო, გაუშვი ბერობა,
სხვა დაიჭირე ხელობა“—
თავისკენ შეაბრუნეთ.

ვალენციას:

„ვილაცა „ვენეციაში“
ვაზეთში გამოაქვეყნა
უპატრონო ბალში თხამა
ვარდზედ ანწლი დაამყნაო“—

ასე იწყებთ თავის „ლექსს“. ჩვენის აზ-
რით, იმ ბალს თხა მაინც ჰყოლია პატრო-
ნი, მაგრამ აი, ის რედაქცია, რომელმაც ეს
ამბავი გამოაქვეყნა—სულ უპატრონო ყოფი-
ლა. ჩვენ არ გვინდა დავემსგავსოთ მას და
ამიტომ ვერ ვაქვეყნებთ „ვალენციას“ ლექსს,
რომლის მეოცდასამე ტაეპი შემდეგს მოგვი
თხრობს:

„ემუქრებიან ერთმანეთს, (ქალები)
მოკითხვა გინებათ მიაქვთ,
დღე და ღამ მუდამ ჭორობენ
ასეთი ჩხუბი „დღესაც აქვთ“.

ხაშურში გენოს: თქვენ გვწერთ:

„მობრძანდით და ვინახულოთ
აქაური სამკითხველო,
ხაშურლების სიამაყე,
ხაშურლების სასახელო“.

ამისთვის არ მიგვანია საჭიროთ ხაშურ-
ში ჩამოსვლა,—აქედანაც კარგათ ვხედავთ,
რომ ხაშურლების სიამაყე სამკითხველო გა-
დუხურავია და შიგ მზიან დღეში მზე ანა-
თებს, წვიმიანში წვიმა მოდის და საცაა
თოვასაც დაიწყებს.

დამნაშავეთა მოსაბრეგავათ კი შეიძლება
შემოვიაროთ, მარა რა გვეჩქარება,—სად
გავმეცქვიან!

ქუთაისი ლეჩხუმელ პიმპილას: თქვენს
დეპეშებს არამც თუ პიმპილა—მარილიც კი
აკლია.

შორაპანი აეტს: თქვენ სწერ შარადში
შემდეგს.

„როცა რო დახვალ, არშიყოზ,
ეს მაშინ ამოდრავდება;
მაგრამ თუ არ არს მერტყველი
ქალები გავიჯავრდება.
ორი მოსჭერით წინიდან,
სხვა გადისროლეთ შორეთა“...

ჩვენი გავებით, ორი კი არა, ცალიც რომ
მოსჭრათ—შემდეგ არაფელი მოსახმარი აღარ
იქნება...

ფინთიხს: ქორეთის თემში, ჩვენ დარწ-
მუნებული ვართ, ფოჩტა-ტელეგრაფის გან-
ყოფილება კი არ არსებობს, თქვენ კი რა
დიო-დეპეშებს გვიგზავნით იქიდან. ცხადია
ეტყობა, რომ ის აქვე კოჩუბევის ქუჩაზეა
შედგენილი და ამიტომ ყოველივე მახე-
ლობას მოკლებულია.



ზეიმობს ოზურგეთი
და ლხინობს გურია:
„რკინის გზა გავაკეთეთ,
აქ კი სადგურია...“
აქედან ბერლინისკენ

დაიძრა მატარებელი,
მანქანას განაგებს
საქმეში დაცდილი ხელი!
სადგურიდან სწრაფად
მანქანის საყვირის ხმაზე

საგზაო კვერთხით ხელში
გამოდის კაცობაძე;
სარჯვალაძემ მანქანის თვლებს
უკვე წაუსვა ზეთი.
მაშ, მოუსვი, მემანქანე, ბერლინისკენ!
მშვიდობით, ოზურგეთი!...

7 ნომერ. გამოვა 1-ლი №-რი სალიტერატ. სამსახ. საილიუსტრ. ორ-კვირიანი ჟურნალი:

== დ რ თ უ ა ==

ჟურნალში იქნება შემდეგი განყოფილებანი:

- | | | | |
|-----------------|-------------------|------------------|-----------------|
| 1. ბელეტრისტიკა | 5. მხატვრობა. | 9. მეცნიერება და | 12. მათემატიკა. |
| 2. პოეზია. | 6. ჟანრული ჟღერა. | თემატიკა. | 13. იურიდიული. |
| 3. თეატრი. | 7. კრიტიკა. | 10. პიესა. | 14. ნარეკლი. |
| 4. მუსიკა. | 8. ბიბლიოგრაფია. | 11. სპორტი. | |

ილიუსტრაციები საქართველოს და უცხოეთის ცხოვრებიდან.

ჟურნალში მონაწილეობენ:

მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი.

საკუთარი კორესპოდენტები: მოსკოვში, პეტროგრადში, ხარკოვში, თეირანში, ბერლინში, პარიზში, რომში, ლონდონში, საქართველოში და კავკასიის ყველა ქვეყნებში.

ჟურნალში იქნება 32 გვერდი.

მიიღება ხელის მოწერა და განცხადებანი.

პასუხისმგებელი რედაქტორი მ. ხაჩიანი.

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია.

გამომცემელი: საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა.

ტელეფონი.

მისამართი რედაქციის და კანტორის რუსთავე. პრ. № 22.